პ. მ. საყვარელიძე

ჩინეთის რევოლიუცია და ფუ-მინ-დანი

გამოქვეყნებულია „ფრქვევა“

ტფილისი
1927

ვანო ბოლქვაძის
სახელობის
პოლიგრაფსკოლა
წერეთლის ქ., № 3
მთავლიტი № 826
ტირაჟი 3000

რამოდენიმე სიტყვა წინასწარ

ჩინეთის ამბებს დღეს ბლომად ვკითხულობთ გაზეთებში, მაგრამ შეუძლებელია მარტო გაზეთების მასალების ამარა დარჩენილმა მკითხველმა, თავი გაართვას ჩინეთის დღევანდელ ვითარებას.

სამწუხაროთ, ქართულად ჯერ-ჯერობით ერთობ ცოტა იწერება ჩინეთის შესახებ. ამ ნაკლის ოდნავ მაინც შესავსებათ არის დაწერილი ეს პატარა წიგნი. ჩემი მიზანი იკო შეძლების დაგვარად გამერკვია მკითხველებისათვის თუნდაც მოკლეთ ყველა ის საკითხები, რომელთა წინასწარი გაცნობის გარეშე შეუძლებელია ჩინეთის დღევანდელი ამბების ხეირიანათ გაგება.

მე კარგათ ვიცი, რომ ჩემი ნაშრომი არც სრულია და არც უნაკლო, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაშიაც რომ, რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს მას, მათთვის, ვინც მოკლებულია საშუალებას ქართულს გარდა სხვა ენებით ისარგებლოს ჩინეთის ამბების შესასწავლად, მათთვის ამ წიგნის წაკითხვას ერთგვარი სარგებლობის მოტანა მაინც შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, ეს წიგნი ხელს შეუწყობს ჩვენ მკითხველთა მასას თვალგახელილათ შეხედოს ჩინეთის დღევანდელ მდგომარეობას.

საჭიროთ მიმაჩნია წინასწარ გავაფრთხილო მკითხველები. იქ, სადაც გო-მინ-დანის პროგრამაზე და საზოგადოთ გო-მინ-დანის შესახებ არის ლაპარაკი, მკითხველმა

არ უნდა დაივიწყოს ერთი გარემოება; გო-მინ-დანის ერთი ნაწილი (ჩინეთის მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო ბურჟუაზია) ამ ბოლო დროს ჩან-კაი-შის მეთაურობით რევოლიუციის მტრების მხარეზე გადავიდენ. ამით მან გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი თვით გო-მინ-დანთანაც, მაგრამ ეს მოღალატეები განაგრძობენ ამ პარტიის სახელით სარგებლობას რასაკვირველია ჩან-კაი-ში დღეს მხოლოდ იმდენათ საჭიროებს გო-მინ-დანის სახელს, რამდენათაც ეს საშუალებას მისცემს მას გო-მინ-დანის სახელით უფრო ადვილათ გაუთხაროს სამარე გო-მინ-დანის პროგრამის განხორციელებას და ჩინეთის დღევანდელი რევოლიუციის ჩაქრობას.

დღევანდელი მდგომარეობა

ჩინეთი დღეს მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. რა მოხდება იქ? რითი გათავდება ჩინეთის რევოლიუცია?

მოახერხებს და შესძლებს, თუ არა ჩინეთის მშრომელი ხალხი იმპერიალისტების უღლის გადაგდებას? აი კითხვები, რომლებიც აინტერესებს დღეს ყველას!

რამ გამოიწვია გო-მინ-დანში ის განხეთქილება, რომლის ამბებს ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში ვღებულობთ ჩინეთიდან. რას ნიშნავს ეს, რა შედეგი შეიძლება რომ მოჰყვეს გო-მინ-დანის ძალთა დანაწილებას და ერთი ნაწილის მაინც რევოლიუციის წინააღმდეგ ამუშავებას? აი, მთავარი კითხვები, რომელთა გამიარკვევის გარეშე შეუძლებელია ჩინეთის შომავლის სისწორით წარმოდგენა!

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი — ჩვენი ქვეყნის მუშა და გლეხი გულხელდაკრეფილი ვერ დარჩება, ამ ხელჩართულ ბრძოლას ის სანახაობის თვალით ვერ შეხედავს. ჩვენმა მუშამ, ჩვენმა გლეხმა კარგათ უნდა

შეიგნოს და გაითვალისწინოს, **რომ ჩინეთის გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაცაა,** მისი დამარცხება იმავე დროს ჩვენი უკან დახევა და ჩვენი ძალების შესუსტებაა.

გაიმარჯვებენ იმპერიალისტები ჩინეთში და მაშინ საბჭოთა კავშირს უფრო მეტი რიხითა და რისხვით შემოერტყმის გარშემო კაპიტალისტების ურდოები; დამარცხდება იქ იმპერიალისტების შავი საქმე და საბჭოთა კავშირს გვერდში ამოუდგება 435 მილიონი ჩინელი მუშა და გლეხი. ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვება ისეთი დიდი მოვლენაა, რომ მისი შედეგების სავსებით გათვალისწინება დღეს-დღეობით ძნელია. ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ის დიდათ მოუსწრაფებს სიცოცხლეს კაპიტალისტურ წესწყობილებას და მოგვიახლოვებს მის ჩაძაღლებას მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა ნათელი წარმოდგენა უნდა იქონიოს ჩინეთის საქმეების შესახებ. კარგათ უნდა იცოდეს თვითეულმა ჩვენთაგანმა, თუ რა ავნებს და რა არგებს ჩინეთის რევოლიუციას. აი, ამიტომ ჩვენ დაკვირვებით უნდა ჩავიხედოთ ჩინეთის დღევანდელ ვითარებაში, ხეირიანათ და ზედმიწევნიფ უნდა გავიცნოთ ჩინეთის წარსული, უნდა გავიცნოთ და გავიგოთ ჩინელი გლეხის და მუშის სვე-ბედი, მისი ცხოვრებისა და ბრძოლის პირობები. მხოლოთ ამის შემდეგ ჩვენ შევძლებთ გავერკვიოთ იმაშიაც, თუ ვინ, რომელი და როგორი ძალები სწევს წინ, თუ ახევინებს უკან ჩინეთის რევოლიუციას.

ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობას კარგა ხნის წარსული აქვს. ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისი მტკიცეთ არის დაკავშირებული **სუნ-იატ-სენის** სახელთან. ვის არ გაუგონია ეს სახელი? ჩინეთი არ

არის დაწინაურებული და განათლებული ქვეყანა, მაგრამ იმ 400 მილიონ (რაც მეტია ის, რომ არ ვიანგარიშოთ) ხალხში, რომელიც ჩინეთში სცხოვრობს, ვერ მოსძებნით ვერც ერთს, რომ დიდი სუნ-იატ-სენის, ან როგორც მას აქ შემოკლებულათ უწოდებენ სუნ-ვანის ან და კიდევ უფრო მოკლეთ სუნის სახელი არ გაეგონოს. მართლაც, სწორეთ სუნ-იატ-სენია ჩინეთის რევოლიუციის მამამთავარი, მისი დაუღალავი ბელადი და მისი უკვდავი მედროშე.

სუნი მოკვდა, მაგრამ ჩინეთის რევოლიუცია მისი დროშით მიიმართება წინ.

1885 წელს, მოუყარა სუნ-იატ-სენმა პირველად ერთ პატარა ჯგუფს თავი, მას სახელათ: **„ჩინეთის განთავისუფლების კავშირი“** ერქვა და ჩინეთის მთავრობის ჩამოგდება ჰქონდა მიზნად დასახული. ამ წრემ კიდევაც სცადა 1895 წელს მოეწყო აჯანყება გუან-დუნის კუთხეში ეს სწორეთ ის კუთხეა, სადაც შემდეგში კანტონის მთავრობა დამკვიდრდა. აჯანყებამ ფუჭეთ ჩაიარა, მთავრობამ დროზე მიიღო ზომები და ხიუათი თავიდან აიშორა. ვერც შემდეგ წლებში მიაღწია ამ წრემ თავის მიზანს, თუმცა არც სუნი და არც მისი ამხანაგები გულხელდაკრეფილი არ გაჩერებულან და ყოველ წელს სულ ახალ-ახალ გეგმებს აწყობდენ თავიანთი მიზნის განსახორციელებლად.

მხოლოდ 1911 წელს მოხერხდა ჩინეთის მეფის ტახტიდგან გადმოგდება. მოხდა რევოლიუცია, ჩინეთის მეფეს ტახტი დაატოვებინეს, ჩინეთში თითქოს რესპუბლიკაც კი დამყარდა. აი აქ ჩაეყარა საფუძველი იმ პარტიას, რომელსაც წაუძღვა წინ სუნ-იატ-სენი. ესაა **გო-მინ-დანი**, ესაა ის პარტია, რომელიც დღემდე წინ უძღოდა რევოლიუ-

ციონურ მოძრაობას ჩინეთში. ამ პარტიაშია სუნის ძველი ამხანაგები ვინც მასთან ერთად შევიდა ჩინეთის აღორძინების კავშირში, მაგრამ ისინი მარტო არ არიან გომინ-დანის რიგებში. ბოლოს გო-მინ-დანის რიგებში თავი მოიყარა ყველამ, ვინც საჭიროთ სთვლის ჩინეთის, უცხო ქვეყნებიდან შემოჭრილ ყაჩაღებისა და მოძალადეებისგან განთავისუფლებას.

რა მიზანს ისახავს გომინდანი?

გომინდანის პროგრამაში ასეა გამოსახული პარტიის მთავარი მიზანი: **„ბრძოლა ჩინეთის მილიტარისტების წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის“.**

ასეთია გომინდანის მთავარი მიზანი, ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ის ამ რამოდენიმე თვის წინ, მაშინ როდესაც, კანტონის ჯარი ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

ამ მიზნის განსახორციელებლათ იბრძოდა ის, მაგრამ დღეს? თუ უკანასკნელი დროის ამბებს დავაკვირდებით უსათუოთ უნდა ვაღიაროთ, რომ გომინდანის რიგებში აღარ არის ის ერთსულოვანი, ერთი მიზნით და ერთი საქმის შესრულებით გატაცებული ბრძოლა.

დღეს უკვე აშკარაა, რომ კანტონის ჯარის მთავარსარდალი ჩან-კაი-ში, რომელიც გომინდანის მემარჯვენე ნაწილს მეთაურობს, იმდენათ ჩრდილოეთისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ კი აღარ ლესავს მახვილს, რამდენათაც თვით გომინდანის ბანაკში დარაზმულ მუშებისა და გლეხების წინაამდეგ.

რატომ მოხდა ეს? რამ დაარღვია ეს ერთი და ამ სულ მოკლე ხნის წინათ მთლიანი ბანკი?

ამ კითხვაზე არ შეიძლება მოკლე პასუხი. ჩინეთის

დღევანდელი ვითარების გაგება შეუძლებელია იმის გარეშე, თუ ჩვენ წინასწარ არ გავეცანით და არ გავიგეთ:

1) ჩინეთის საერთო მდგომარეობა უცხოელ კაპიტალისტების შემოსევამდე.

2) უცხოელების შემოსვლისა და გაბატონების ამბავი.

3) გომინდანისა და ჩინეთის რევოლიუციის ისტორია.

4) ჩრდილოეთის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩან-კაი-შის ღალატი.

მხოლოთ ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი და აშკარა იქნება, ის, რაც დღეს ხდება ჩინეთში საზოგადოთ და კერძოთ გომინდანის ბანაკში.

ამასთან ერთად საჭიროა იმის გამორკვევაც, თუ რა გზით, რა მიმართულებით სჯობს დღეს რევოლიუციის ძალების გაშლა, როგორ უნდა გადააჯგუფოს თავიანთი რიგები რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებამდე მისაყვანათ მებრძოლმა ძალებმა, რომ ხელი არ გაუშვან გომინდანის ძველ დროშას და თანაც გვერდიდან გამოშლილ მოღალატებსაც საკადრისი პასუხის გაცემა მოახერხონ.

დავიწყოთ რიგრიგათ.

ჩინეთი უცხოელების შემოსვლამდე

ჩინეთი უზარმაზარი ქვეყანაა. მას 11 მილიონი ოთხკუთხედი ვერსის სივრცე აქვს მოკავებული, ესე იგი მარტო ერთს ჩინეთს მეტი სივრცე უკავია, ვიდრე მთელს ევროპას. რაც შეეხება ჩინეთის მცხოვრებთა რაოდენობას, მას რასაკვირველია, არა ყავს ტოლი და თანასწორი. მართალია, დღეს არ არის ხეირიანად გამორკვეული რამდენი მოსახლეა ჩინეთის მიწა-წყალზე დაბინადრებული, მაგრამ სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, 435 მილიონზე ნაკლები მაინც არ იქნება, ზოგიერთები ჩინეთის მოსახლეობას 444

მილიონათ ანგარიშობენ. საკუთრათ ჩინელები ამ რიცხვიდან 400 მილიონია; შიგა და შიგ სხვა ტომის და მოდგმის ხალხები არიან ჩასახლებული ჩინეთში; მაგალითად ჩინეთის საზღვრებში დაახლოებით 10 მილიონი მაჰმადის რჯულის მაღიარებელი ტომები ცხოვრობენ, აქვე ცხოვრობენ აგრეთვე მონღოლები და მანჯურები და სხვ. მთელი ის ქვეყანა, რასაც ჩვენ ჩინეთს ვეძახით, დაყოფილია რამოდენიმე ნაწილათ.

1) **საკუთრათ ჩინეთი**; ეს ნაწილი მოქცეულია ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში.

2) **მონღოლეთი**; ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს.

3) **ტიბეტი**; ამ კუთხეს ჩინეთის სამხრეთ დასავლეთის ნაწილი უკავია.

4) **ჩინეთის თურქისტანი**; ჩინეთის დასავლეთის ნაწილშია მოთავსებული.

5) **მანჯურია**; ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მდებარეობს.

ჩინეთის რესპუბლიკა მთელი ამ მიწა-წყლის მფლობელათ ითვლება, მაგრამ ზოგან ჩინეთი მხოლოთ სახელათ იხსენიება, ნამდვილათ იქ დღეს სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტები ბატონობენ.

ნიადაგი ჩინეთს საუცხოო აქვს. აქაურმა მიწამ შესანიშნავი მოსავალი იცის. არის ადგილები, სადაც წლიდან-წლამდე მიწის მუშა სამ პირ მოსავალს აიღებს ყანიდგან, მაგრამ ჩინეთში მაინც დიდი სიღარიბეა. მიწა ყველას არ ყოფნის. ხშირათ ჩინელ გლეხს იმოდენა მიწაც კი არა აქვს, რომ ქოხი დაიდგას, ამიტომ ის ტივებზე აშენებს რაღაც ხუხულას, ან და ნავში ბინადრობს.

კარგს მოსავალს იძლევა მიწა, მაგრამ ჩინელ გლეხს ამ მიწიდან დიდი დოვლათი არ რჩება ხელში. მიწა მისი

არ არის, მიწა მემამულეს ეკუთვნის გლეხი საზიაროთ ამუშავებს მემამულის მიწას და მოსავალიდან სამ მეოთხედს ხშირათ კი მეტსაც მიწის პატრონს აძლევს.

მაგრამ თითქოს ეს არ კმარიოდეს, მემამულე თავის მიწას მხოლოთ იმ გლეხს მისცემს დასამუშავებლათ, რომელიც მას კარგ ძღვენს მიართმევს. ძღვენის მირთმევა დაკანონებულია ჩვეულებით, უიმისოთ გლეხისათვის მიწის შოვა შეუძლებელია.

ხშირათ მემამულე არც კი კადრულობს გლეხებთან საქმის დაკავებას. ის თავის მიწას ერთბაშათ აძლევს მოიჯარადრე შუა-კაცს. ან კი რისთვის უნდა გაიცხელოს მან თავი? სად სდიოს მან თვითეულ გლეხს კუდში? მემამულისათვის ბევრათ უფრო ხელსაყრელია ერთ კაცთან ჰქონდეს საქმე. ეს მოიჯარადრე თვითონ ისტუმრებს მემამულეს, ხოლო იჯარით აღებულ მიწას შემდეგ ნაპრა-ნაპრა ურიგებს გლეხებს. რასაკვირველია ის იაფათ არ დაუსვამს გლეხებს თავის „გასჯას“ და შუა-კაცობას. ამის გამო გლეხს კიდევ უარესათ ძვრება ტყავი. გლეხს რომ მარტო მემამულე და მოიჯარადრე ჰყავდეს გასასტუმრებელი, ამას ავათ იქნებოდა, თუ კარგათ როგორმე გაართმევდა თავს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ის ყველასაგან საწყალ ფურათ არის გადაქცეული; მას აუარებელი გადასახადები აწევს კისერზე.

ესეც არაფერი იქნება როგორმე ამასაც გაუძლებდა გლეხი, მაგრამ ჩინეთში ერთი საშინელი ამბავია. იქ წელიწადში ერთხელ ერთი წლის გადასახადს კი არ ახდევინებენ; გამოერევა ისეთი წელიწადი, როდესაც გადასახადის შესაკრებათ ხუთჯერ-ექვსჯერ ჩამოიელიან მთავრობის მოხელეები. რამოდენიმე წლის გადასახადს წინ-

დაწინ ართმევენ. ყოველივე ამის გადამკიდე ჩინელი გლეხი მუდამ სიმშილსა და გაჭირვებაშია, ის მუდამ ვალით არის დატვირთული, მისი ნაშრომი სხვას მიაქვს, თვითონ კი წელიწადში შეიძლება ერთხელაც არ ეღირსოს მაძღრისად პურის ჭამა.

ჩინეთის ერთი უბედურება იმაშიაც მდგომარეობს, რომ მას მეტის-მეტად ბევრი ჩინოვნიკები ჰყავს.*)

1911 წლის რევოლუცია სოფლათ არაფერს არ დატყობია. სოფლის ჩინოვნიკები ისევ შერჩნენ თავიანთ-ადგილებს. მანდარინებს ჯამაგირი არ ეძლევათ მთავრობისაგან, მაგრამ მათ არც სიმდიდრე აკლია და არც პატივისცემა. სოფელი მათ ხელშია, მათი პასუხის მომთხოვი აქ არავინაა.

ქრთამი და მანდარინი განუყრელი მეგობრები არიან. ქრთამს არსად იმდენი და ისეთი გასავალი არა აქვს, რამდენიც ჩინეთში. ქრთამით აქ ყველაფერს მოახერხებ, უქრთამოთ კი ვერაფერს. ჩინეთის სასამართლომ საშინელი და სასტიკი სასჯელი იცის. სიკვდილით დასჯის გადაწყვეტა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თუნდა სიკვდილიც რომ ჰქონდეს დამნაშავეს გადაწყვეტილი, საკმარისია მან ქრთამი შეაძლიოს მოსამართლეს და ამ სასჯელს ის სხვას მოახდევინებს, ნამდვილ დამნაშავეს კი თავისუფლათ გაუშვებს.

ერთი სიტყვით, ჩინეთში ბევრი რამ, როგორც იყო ისევ ისე დარჩა. რევოლიუციამ და ვითომდაც რესპუბლიკის დაარსებამ სრულებით ვერ შესცვალა ჩინეთის მდგომარეობა. თვითეულ კუთხე-ქვეყანას გუბერნატორი ეპატრონება. მას აქ ხმის შემბრუნებელი არავინა ჰყავს.

---

*) ჩინოვნიკებს აქ მანდარინებს ეძახიან.

სოფელი გაჭირვებულია, მიწა ყველას არ ჰყოფნის; ზედმეტი მოსახლეობა ქალაქს აწყდება.

რა მდგომარეობაშია ჩინელი მუშა?

ჩინელი გლეხის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ძნელია ხომ ჩინელ გლეხზე მეტი გაჭირვების მომთმენი სულდგმული, მაგრამ ჩინელი მუშა კიდევ უარეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ჯერ ერთი, რომ ჩინელ მუშიას დასვენებას არ აძლევენ. სამუშაო საქონელივით რომ შედენიან მას დილით ქარხანაში, ისე უნდა გაათაოს მან სამუშაო დღე, რომ ერთი წუთიც ვერ დაისვენებს. სადილი და საუზმე მისთვის არ სწერია. სიმშილით გამწარებული ის ზეზეურათ თუ გადაყლაპავს ორიოდე ლუკმას და ისიც ისე, რომ სამუშაოს ხელს ვერ შეუშვებს.

რას ღებულობს ის ასეთ მუშაობაში?

ჩინელი მუშის დღიური ხელფასი 10 — 15 კაპეიკს არ აღემატება. ამ ხელფასს ღებულობს 11 — 15 საათის მუშაობაში. არის ქარხნები, სადაც მუშებს 17 საათსაც კი ამუშავებენ.

მაგრამ ყველა ვერც ქარხნებსა და ფაბრიკებში შოულობს სამუშაოს. ვინ მოსთვლის, რამდენია სრულებით უსაქმოთ და ულუკმა-პურო დარჩენილი ხალხი ჩინეთში. თუ ჩინელმა ხელობა მაინც იცის რამე, ის ხელობას ჰკიდებს ხელს. ხელოსნობას ჩინეთში ბევრი მისდევს. ერთ დროს ჩინეთში ხელოსნების ნაწარმოებს დიდი გასავალიც ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ფეხი მოიკიდა ქარხნებმა და ფაბრიკებმა, ხელოსნების დამზადებულ საქონელს ფასიც დაეკარგა და მუშტარიც გამოელია. ქარხნებში დამზადებული საქონელი უფრო კარგიცაა და უფრო იაფიც, ამიტომ ხელოსნების საქონელს ხელს აღარავინ ჰკიდებს. მაშ, რა ჰქნას უსაქმოთ და უმუშევრად დარჩე-

ნილმა ჩინელმა მუშამ და ჩინელმა გლეხმა? ის ან ტყეში უნდა გავარდეს — ყაჩაღობა დაიწყოს, ან და რომელიმე გუბერნატორს მიადგეს კარზე და ჯარში სალდათათ მიღება სთხოვოს. ჩინეთში ჯარს ქირაობენ, სალდათებს თვიურ ჯამაგირს აძლევენ. ერთი წყება ხალხი მართლაც ჯარში შოულობს ალაგს და ავათაა, თუ კარგათ სიმშილით სიკვდილიდან თავს იფარავს. მაგრამ უმუშევართა რიცხვი გაცილებით მეტია; არსად ამჟამათ იმოდენი უმუშევარი არ მოიპოვება, რამდენიც ჩანეთში

ბევრია ჩინეთში წვრილი ვაჭრებიც. ასეთი ვაჭარი მთელ თავის სავაჭროს ერთ ბოხჩაში გამოკრულს, ზურგით დაათრევს, ზოგს კი ხელით საგორებელი ურემი აქვს გაკეთებული და ამნაირათ დადის სოფლიდან სოფელში.

ვაჭრობის საქმეც ძალიან შეკრული და შევიწროვებულია ჩინეთში.

აქ ყველა კუთხეს თავისი საბაჟოები აქვს დაწესებული, შემოტანილ საქონელზე ბაჟი *) არის შემოღებული. ვაჭარი ბაჟს იხდის და შემდეგ მას მუშტრისაგან აღებული ფულით ინაღდებს.

კუთხე-კუთხათ დაყოფილ ჩინეთს, თვითეულ კუთხეში თავ-თავისი წესი და კანონი აქვს, თვითეული კუთხე თავ-თავისათ სჭრის ფულს. ისეთი ფული, ყველგან რომ თანაბარი გასავალი ჰქონდეს ჩინეთში დღესაც არ არის. გარდა ამისა ყველა კუთხეს თავისი სასწორი და საზომი აქვს. ვერცხლის ფული ერთგან რომ გირვანქას აიწონის, მეორე კუთხეში მას უსათუოთ რამოდენიმე მისხალი მაინც დააკლდება, ვინაიდან აქ სხვა სასწორი აქვთ, და წონის ზომაც ცსხვანაირია.

---

*) ამ ბაჟს — ლიკინს ეძახიან.

აი, ასეთი პირობები დახვდათ უცხოელ კაპიტალისტებს, როდესაც მათ ჩინეთში ფეხი შემოდგეს.

ერთი მხრით ვეებერთელა ქვეყანა და აუარებელი ხალხი, ამოულეველი ბუნებრივი სიმდიდრე და იაფი მუშახელი — ყოველივე ეს ანდაძანტივით იზიდავდა კაპიტალისტებს ჩინეთისაკენ, მაგრამ ჩინეთი მათთვის მაინც მიუვალი და დაბრკოლებებით სავსე ქვეყანა აღმოჩნდა.

ფულის სხვადასხვაობა, ყოველ კუთხეებში, საკუთარი ზომა და წონა, ეს უთვალავი ბაჟი და სხვ. ყოველივე მეტათ აფერხებდა და ხელს უშლიდა უცხოელების აქ ძუშაობას. მაგრამ უცხოელებს ჰქონდათ ხელში ისეთი ძალა, რომელიც ყველაფერს უნდა მორეოდა. უცხოელებს ზურგს უმაგრებდა კბილებიდან კოჭებამდე შეიარაღებული ჯარი. უცხოელები მხოლოდ საბაბს ეძებდენ, რომ პირველ ხელის გაქნევისთანავე მას თავს დასცემოდენ და იარაღის ქვეშ ჩინეთის მთავრობისათვის ისეთი პირობები გამოეტაცებიათ ხელიდან, რაც უცხოელების ბატონობას მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიდა ჩინეთში.

უცხოელების შემოსვლა ჩინეთში

ჩინეთს თავის გრძელ ისტორიის მანძილზე ბევრი მტერი ჰყოლია, ბევრი შორიდან მოსული, თუ ახლოს მობინადრე შემოჭრილა მის მიწა-წყალზე. ბევრჯერ დაუმარცხებიათ მათ ჩინეთი, ცეცხლითა და მახვილით მოუვლიათ ეს ვეებერთელა ქვეყანა კიდით-კიდე, მაგრამ ჩინეთი არც ერთს მტერს ისე არ შეუწუხებია, ჩინეთისათვის ისეთი დღე არავის არ დაუყენებია, როგორიც უცხოელ კაპიტალისტებმა დააყენეს.

უცხოელები დიდი ხანია იცნობდენ ჩინეთს, კანტი-კუნტათ თითო ოროლა უცხოელ ვაჭარს ან მრეწველს უწინაც

ჰქონებია დამოკიდებულება ჩინეთთან, მაგრამ ჩინეთში უცხოელების ძალუმათ შემოჭრა მე-19 საუკუნის დამდეგიდან იწყება.

ამ დროს ჩინეთის ამბავი უკვე ყველამ კარგთ იცოდა ევროპაში, ყველას თვალები ჩინეთისაკენ რჩებოდა და მის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, მაგრამ ყველას ამ საქმეში ისევ **ინგლისმა აჯობა.**

ინგლისი ამ დროს ევროპაში ყველაზე უფრო შეძლებული და ღონიერი სახელმწიფო იყო. ინგლისს ყველაზე მეტი ჰყავდა გემები და საზღვარგარეთ გასატანი საქონელიც მას ყველაზე მეტი მოეპოვებოდა. ამიტომ ინგლისმა ადვილად გამოინაპირა ყველა ისნი, ვინც მას აქ ჩინეთში ფეხის ჩადგმა მოასწრეს, ესენი იყვნენ პორტუგალელები, ესპანელები და ჰოლანდიელები. ყველაზე უფრო ადრე აქ, მართალია, რუსეთი შემოვიდა, მაგრამ ჩინეთის საზღვრებს რუსეთი ჩრდილოეთიდან მოაწვა *) ევროპის სახელმწიფოები კი ზღვით მიდიოდენ და თავდაპირველად სამხრეთის ნაპირებს მოადგებოდენ ხოლმე.

რა სიკეთე მოიტანეს და რა დოვლათი შესძინეს ინგლისელებმა ჩინელეთს? ინგლისელებს აქ ბევრი სიმდიდრე დახვდათ. ამ სიმდიდრის ჩალის ფასათ ხელში ჩაგდება, ხოლო მოტანილი საქონელის მამასისხლათ გაყიდვა, აი რთგორი იყო ინგლისელების მიზანი. ინგლისელმა ვაჭრებმა ჩქარა შეატყვეს, რომ ჩინეთში დიდი გასავალი ექნებოდა ოპიუმს. **)

---

*) ჩინეთს რუსები Китай-ს უძახიან. ეს ალბათ, იმიტომ რომ ჩინეთში რუსები ჩრდილოეთის მხრიდან შევიდნენ, მათაც ჩინეთს იმ ხალხის სახელი მიაკუთვნეს, რომელიც მათ პირველად შეხვდათ ამ გზაზე. ესენი იყვენ ყ ი დ ა ნ ე ბ ი.

**) ოპიუმს—ჩვენებურათ ხ ა შ ხ ა შ ს ეძახიან—მათრობელა მცენარეა. ამ მცენარის თესლს ხმარობენ, როგორც თამბაქოს, მოსაწევათ.

მართლაც, ჩინელები ერთობ დაეწაფენ ოპიუმს. მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა და მატულობდა. ინგლისელებმაც გააჩაღეს ვაჭრობა, თავდაპირველად, თუ მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი იყო 200 ყუთი, ბოლოს 4000 ყუთმაც აღარ იკმარა.

ოპიუმმა ჩინელებს დიდი ზარალი მიაყენა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რომ კიდევაც არ ვიანგარიშოთ ხალხის დაავადმყოფება, ჩინეთის ხაზინასაც ძალიან დაეტყო ამოდენა საწამლავის გასაღება. საქონელს ინგლისელები ოქროზე ჰყიდდენ, ხოლო ეს ოქრო ჩინეთის ხაზინას აკლდებოდა და უცხოეთში მიდიოდა.

ბოლოს ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა რაიმე ზომები მიეღო ამ საზარალო და მავნებელი საქონელის შემოტანისა და გავრცელების წინააღმდეგ.

ამ მიზნით ჩინეთის მთავრობამ გასცა ბრძანება, რომ დაეწვათ ოპიუმების საწყობები კანტონში. ინგლისელებსაც თითქოს ეს უნდოდათო, დაიხვიეს თითზე ეს ამბავი და ჩინეთის ნაპირებზე ვეებერთელა სამხედრო გემებიდან აუარებელ ზარბაზნებს გადმოაყოფიეს პირი.

შეიქნა ომი. ინგლისის ზარბაზნებს ჩინეთის ჯარი რას გაუმკლავდებოდა? ინგლისელები შეესიენ სანაპირო ქალაქებს და ყველგან თავისი ჯარი ჩააყენეს. ეს ომი 1840 წელს დაიწყო და ორ წელიწადს გაგრძელდა, ამ ხნის განმავლობაში ინგლისმა ჩინეთს უზღვავი ზარალი მიაყენა. ომი იყო — გაჭკითხავი არავინ სჩანდა, და ინგლი-

---

ოპიუმის კვამლი ათრობს და ბურანში ჰხვევს ადამიანს, ოპიუმმა ისეთი მიჩვევა იცის, რომ თუ ერთხელ ვიმე შეეჩვია მის მოწევას, შემდეგ ძალიან გაუძნელდება თავის დანებება. ოპიუმი მეტის მეტათ ასუსტებს ადამიანის გონებას და თანდათანობით შლის სხეულს.

სელებიც დღე-შუაგულ სძარცვაედნენ ყველგან და ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდათ. ბოლოს, 1842 წელს, ჩინეთი დათანხმდა ზავის ჩამოგდებაზე. ზავის პირობების ჩამოსაწერათ ორივე მხარის წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს **ნანკინში.**

„მისი უდიდებულესობა მეფე და მბრძანებელი ჩინეთისა თანახმაა, რომ ბრიტანეთის ქვეშემდომთ თავიანთი ოჯახებითა და დაწესებულებებით უფლება მიეცეს ცხოვრებისა ყოველგვარ შევიწროების გარეშე სავაჭრო საქმეების საწარმოებლათ შემდეგ ქალაქებში: „კანტონში, ამოიაში, ფუ-ჯოუში და შანხაიში“ რაც შეეხება ოპიუმით ვაჭრობას, ჩინეთის მთავრობამ, რასაკვირველია, კრინტის დაბერვაც ვერ გაბედა არამც თუ მისი აღკრძალვის, არამედ ოპიუმით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებაც.

გამარჯვებულმა ინგლისელებმა მარტო ეს არ იკმარეს და კანტონის ახლო მდებარე კუნძულ სინ-ძიანზე (ეს ის კუნძულია, რომელსაც თვით ინგლისელები გონკონგს ეძახიან) ააღებინეს სრულებით ხელი.

ინგლისმა ამით ერთხანად გული მოიძღო, მაგრამ სამაგიეროთ ინგლისელების გამარჯვებამ სხვა უცხოელებსაც აუშალა საღერღელი. ყველა ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მეტი მოეტაცა ამ მდიდარ ქვეყნიდან და სრულებით არ გაეწია ანგარიში ჩინეთის მთავრობისა და ჩინეთის კანონისათვის.

ძალა აღმართს ხნავს, ჩინეთის მთავრობას სად შეეძლო, რომ უცხოელებისათვის წინააღმდეგობა გაეწია და ისიც ძალა-უნებურათ ადასტურებდა უცხოელების თავხედურ მოთხოვნას. ამრიგათ მან სრულიათ აიღო ხელი ჩინეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ უცხოელების ჩინეთის კანონისათვისა დმორჩილების უფლებაზე.

დღესაც არ მოშლილა ეს წესი ჩინეთში.

იქ დღესაც ისეთი მდგომარეობაა, რომ თუ, ვინცობაა, უცხოელმა რაიმე დანაშაული ჩაიდინა ჩინეთში, ის პასუხს ჩინეთის მთავრობის წინაშე არ აგებს: მას თავის ქვეყნის კანონების მიხედვით გაასამართლებენ. ასეთ შემთხვევაში პასუხის მოთხოვნა და სასჯელის გადაწყვეტა მინდობილი აქვს საკონსულო სასამართლოს. მართალია, ჩინეთის პოლიციას უფლება აქვს დააკავოს უცხოელი ბოროტ-მოქმედი, მაგრამ პოლიცია ვალდებულია პირველ მოთხოვნისთანავე გადასცეს ის ამ ქვეყნის წარმომადგენელს, რა ქვეყნისაცაა დანაშაულის ჩამდენი უცხოელი. გარდა ამისა, ვთქვათ, ისე მოხდა: — ჩამოვარდა უცხოელსა და ჩინელს შორის ისეთი დავა, სადაც საჭიროა სასამართლოს განაჩენი. ასეთ შემთხვევაშიაც ჩინეთის სასამართლოს უფლება არა აქვს ჩაერიოს საქმეში, ეს საქმე უნდა გაარჩიოს განსაკუთრებულმა უცხოელების მიერ დანიშნულმა სასამართლომ, რომელიც ხელმძღვანელობს იმ ქვეყნის კანონით, რომელსაც ეს უცხოელი ეკუთვნის; რასაკვირველია ასეთ სასამართლოს წინაშე ჩინელი ყოველთვის გამტყუნებული და უცხოელი ყოველთვის გამართლებული გამოდის.

რაც დრო გადიოდა, უცხოელებმა უფრო და უფრო აიშვეს თავი უცხოელები მუდამ ისეთ საბაბს ეძებდენ, რომ ჩინელები უფრო დაეტუქსათ და დაეშინებიათ.

თვითეულ ქალაქში, სადაც უცხოელები ცხოვრობენ, მათ დღესაც მიჩენილი აქვთ განსაკუთრებული უბანი რომელსაც „სეტლემენტს“ უძახიან.

1857 წელს უცხოელებმა მოსთხოვეს მთავრობას ნებართვა ამ უბნების გარეშეც დასახლებულიყვნენ. მთავრობამ უარი უთხრა. ინგლისელებიც სწორეთ ასეთ შემ-

თხვევას ეძებდენ და წაესიენ ჩინეთს. ამ ხელათ ინგლი-
სელებს ფრანგებიც წამოეშველენ და ხარბაზნები დაუში-
ნეს, კანტონს. უცხოელებმა კანტონის მმართველი ტყვეთ
წაიყვანეს და კვლავ მოსთხოვეს ჩინელებს, რომ კიდევ
ახალ ახალი ადგილები და ქალაქები გაეღოთ მათთვის
სავაჭროთ. ჩამოსწერეს ზავის პირობები და ვაუგზავნეს
პეკინში ჩინეთის უმაღლეს მთავრობას ხელის მოსაწერათ.
ხელისმოწერა შეგვიანდა, უცხოელებმა ეს იწყინეს და იმწამ-
სვე იარაღზე წაისვეს ხელი. ინგლისელებსა და ფრანგებს
აბა რას დაუდგებოდა წინ ჩინეთის უიარაღო და მოუწ-
ყობელი ჯარი. ერთი ხელის დაკვრით უცხოელების ჯარი
ჩინეთის სატახტო ქალაქში — პეკინში შეიჭრა, შეუცვივ-
დენ მეფეს სასახლეში, სასახლე დასწვეს და შიგ თუ
რამე იყო ფასიანი და ღირებული გზას გაუყენეს. ეს
მოხდა 1860 წ.

სხვებს არც რუსეთის მთავრობა ჩამორჩა. ისიც თან-
დათან უჭერდა, სალტეს ჩინეთს, მაგრამ თუ სხვა ქვეყნის
ვაჭრები და სამხედრო ძალები სამხრეთიდან და აღმოსავლე-
თიდან აწვებოდენ ჩინეთს, რუსეთი ჩრდილოეთიდან
იკვლევდა გზას. ჯერ კიდევ 1858 წელს რუსეთმა ჩამოაჭრა
ჩინეთს ამურის მარცხენა მხარე. თავდაპირველათ ეს
მიწა-წყალი ორთავე სახელმწიფოს საერთო კუთვნილებათ
იყო გამოცხადებული. შემდეგ, 1860 წელს, როდესაც
ინგლისელები და ფრანგები პეკინში დაბინავდენ, რუსეთის
მთავრობამ, ეს საერთო კუთვნილება მოშალა და დაითან-
ხმა ჩინეთის მთავრობა, რომ ამურის მარცხენა მხარე
რუსეთის სრულ საკუთრებად ეცნო.

ერთხანს ვითომ ამით დაკმაყოფილდა რუსეთის მთავ-
რობა, მაგრამ ის მაინც საბაბს ეძებდა, რომ კიდევ რაიმე
ჩამოეთალა ჩინეთისათვის.

ილბლად, სწორეთ ამ დროს (1871 წ.) ჩინეთის თურქისტანში, სადაც მაჰმადის მიმდევარი თურქები ცხოვრობდენ, იფეთქა აჯანყებამ; თურქები ჩინელი მანდარინების მიერ სარწმუნოების შევიწროებაზე იყვნენ აღელვებულნი. აჯანყება ჩინეთის სამფლობელოში მოხდა და რუსეთს აქ აბა რა ესაქმებოდა, მაგრამ რუსეთი ხომ საბაბს ეძებდა და საამისოთ ასეთი ამბავი სრულებით საკმარისი იყო. რუსეთის მთავრობამ იმწამსვე მოიმიზეზა;

— ჩინეთის თურქისტანში აჯანყება თუ არ ჩავაქრეთ, მღელვარება ჩვენს საზღვრებსაც გადმოლახავს და იქაც აგვიჯანყდებიან თურქებიო.

აი, ამ მიზეზით რუსეთის მთავრობამ აუარებული ჯარი მიაყენა ჩინეთის საზღვრებს და ჩინეთის თურქისტანის შუაგულში შეიჭრა. ჯარების შეყვანა ძლიერ ადვილი იყო, მაგრამ გამოყვანა ერთობ გაჭირდა. რუსეთის ჯარი ფეხს არ იცვლიდა თურქისტანიდან.

— დიდი ხარჯი გავწიეთ და ასე უბრალოთ, თავს ვერ დავანებებთ აქაურობასო, — ამბობდენ რუსები.

აქაც, ისევ იმგვარი საქმე დატრიალდა, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში. ჩინეთმა 9 მილიონი დაიწერა თავის თავზე ვალათ და შეჰპირდა ამ ვალის ორი წლის განძავლობაში გადახდას. გარდა ამისა, ჩამოუჭრა რუსეთს ილიის მხარის დასავლეთი ნაწილი.

ჯერ ეს ამბავი არ გათავებულიყო, რომ ჩინეთს კიდევ უარესი უბედურება დაატყდა თავზე.

1871 წელს იუნანის კუთხეში უცხოელებისაგან შევიწროებული და გაბოროტებული ხალხი თავს დაესხა და მოჰკლა ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენელი. ჩამწარდა ჩინეთს ამ ერთი უცხოელი არამზადას სიკვდილი. კვლავ შეაწერეს ჩინეთს აუარებელი გადასახადი და კიდევ

გააღებიეს თავისუფლათ ვაჭრობის საწარმოებლათ ხუთი ახალი ქალაქი.

არც ამით დასრულდა უცხოელების შარი და დავიდარაბა. ჩინეთს ძველი დროიდან ჰქონდა დაპყრობილი კუთხე ანამი. ერთ დროს ჩინეთის მეფეები ამ კუთხეში გადასახადსაც კი ჰკრეფდენ. სწორეთ ეს ადგილი საფრანგეთს მოუვიდა თვალში და გადასწყვიტა მისი დაპატრონება. ჩინეთის მთავრობას ეს არაფრად მოეწონა, მაგრამ ხმის ამოღება მაინც ვერ გაბედა. იყო და იდგა თავისთვის გაჩუნებული და გარეშე მაყურებელივით შესცქეროდა ფრანგების თარეშს. ეს სიჩუმე რაღაც არ ეპაშნიკათ ფრანგებს:

— გაჩუმებულნი იმტომ არიან, ალბათ, რაიმე საიდუმლო გეგმებს აწყობენ ჩვენ წინააღმდეგო, გადასწყვიტეს ფრანგებმა და ამის გამო კვლავ აუტეხეს ჩხუბი ჩინელებს:

— იცანი და აღიარე, რომ ანამი ჩემია და მე მეკუთვნისო!

ბოლოს ჩინეთმა ძალაუნებურად გამოიღო ხელი, ატყდა ომი და მთელი რვა წელიწადი გაგრძელდა ეს წიწკნა-გლეჯა. ფრანგებმა, რაკი საბაბი იშოვნეს, მაშინათვე შეესივნენ კუნძულ ფორმოზას და ალყა შემოარტყეს ჯანძიანის კუთხეს.

აქაც დამარცხდა ჩინეთი, საჯაროთ იცნო საფრანგეთი ანამის მფლობელად და კვლავ გააღო კიდევ, ორი ახალი ქალაქი უცხოელებისათვის.

ინდო-ჩინეთის ნახევარ-კუნძულზე ჩინეთს ქონდა ერთი კუთხე – ბირმა; სანამ ჩინეთი საფრანგეთთან ომში იყო ჩაბმული, ინგლისმა ისარგებლა შემთხვევით და ამასობაში ბირმა თავის საკუთრებათ გამოაცხადა.

ასე და ამრიგათ სწეწავდენ და ანიავებდენ ჩინეთს ყოველ მხრიდან.

სხვების მაგალითით წაქეზებულმა იაპონიამაც მოინდომა ჩინეთის დაბრიყვება. უწინდელ დროში პატარა იაპონია ვერ ბედავდა ჩინეთის წინააღმდეგ ხელის გამოღებას, მაგრამ ჩინეთის საერთო დაუძლურებამ იაპონიაც შეაგულიანა.

იაპონია ოსტატურათ შეუდგა თავის გეგმის შესრულებას. ჩინეთის ახლო მდებარეობს პატარა სახელმწიფო კორეია, რომელიც სანახევროთ ჩინეთისაგან იყო დამოკიდებული და ხარჯს უხდიდა ჩინეთის ხაზინას.

იაპონიამ, პირველ ყოვლისა, კორეიას დაუმიზნა, მაგრამ ჩინეთი პირველ ხანში მაგრად დახვდა და ამ გემრიელ ლუკმის შელევას არ აპირებდა. იაპონიამ ვერ მიისაკუთრა კორეია, მაგრამ მაინც აიძულა ჩინეთი, რომ ისიც შეეშვა კორეიაში. ორთავე მხარემ დასდო ხელშეკრულება და კორეია დამოუკიდებელ სახელმწიფოთ იცვნეს. ამრიგად, ამიერიდან კორეიას კარები იაპონიისათვისაც გაიღო: ეს ხელშეკრულობა დაიდო ტიანძინში 1876 წელს. რასაკვირველია, არც ჩინეთსა და არც იაპონიას ეს ხელშეკრულობა არ მოსწონდათ და დროს უცდიდენ, რომ როგორმე შეეჩრილიყვნენ კორეიაში და მარტოთ-მარტო თავისათვის მიესაკუთრებიათ ეს კუთხე.

ბოლოს ასეთი დროც დადგა. კორეიაში რაღაც არეულობა შეიქნა. კორეიის მთავრობამ ჩინეთისავე რჩევით მიმართა მას ძალების დასახმარებლათ, ჩინეთმა დაუყონებლივ გამოგზავნა ჯარი კორეიაში. იაპონიამ ეს იწყინა:

— ჩვენ ხელშეკრულობა გვაქს დადებული, კორეიას დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ვცნობთ და ჩინეთს უფლება არა აქვს ამ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაერიოსო

მდგომარეობა გამწვავდა და 1894 წელს იაპონიასა და ჩინეთს შორის ომი ჩამოვარდა. ჩინეთის მთავრობის ხელმძღვანელი იმ დროს ლი-ხუნ-ჯანი იყო. მას თავის დროზე აღმოსავლეთის ბისმარკს უძახდენ. მართლაც, ლი-ხუნ-ჯანს კარგათ ესმოდა, რომ ჩინეთის ხსნა და საშველი შეუძლებელი იყო იმის გარეშე, თუ ის არ მოღონიერდებოდა. მაგრამ მას ხეირიანად არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რას უნდა მიეცა ჩინეთისათვის მოღონიერების საშუალება, ან თუ ესმოდა ძალიან ცალმხრივათ. პირველ ყოვლისა მან, ჯარის ევროპიულ წესზე მოწყობა მოინდომა. მართლაც მან ამ საქმეზე დიდი დრო დახარჯა და ჩინეთის ჯარის ერთი ნაწილი ევროპიულ წესზე მოაწყო. ჩინეთს ამ ჯარის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ მან ვერ გაამართლა ჩინეთის მთავრობის იმედი.

ევროპიულ ჯარს, ჩინეთის ჯარი გარეგნულათ, ჩაცმადახურვით უფრო ჰგავდა. ამ ჯარში ჯერ კიდევ ისევ ძველი ბატონყმური სული ტრიალებდა. არც სარდლობას და არც მითუმეტეს სალდათებს ევროპიულად ბრძოლის წარმოებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ბატონ-ყმობა იაპონიაში უკვე 1868 წლის რევოლიუციის დროს მოისპო. რევოლიუციის შემდეგ იაპონია მუყაითად დაადგა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გზას და ამიტომ იაპონიის ჯარი მართლაც რომ ევროპიულათ იყო გაწვრთნილი და მომზადებული.

იაპონიის ჯარმა ადვილათ აჯობა ჩინეთისას, ვინაიდან იქ, როგორც სარდლები, ისე სალდათები უფრო განვითარებული და მომზადებული გამოდგენ.

ჩინეთმა ომი წააგო. სახელგანთქმულმა ლი-ხუნ-ჯანმა წამოიჩოქა მარკიზ იტოს წინაშე და ჩინეთისათვის დამამცირებელ ზავს მოაწერა ხელი.

ამ ზავის შემდეგ, ჩინეთმა ერთხელ და სამუდამოთ იცნო კორეიას დამოუკიდებლობა.

წაგებული ომის შემდეგ ასეთი „დამოუკიდებლობის“ ცნობა ნიშნავდა კორეიის იაპონიისათვის დათმობას, მაგრამ განა მარტო ეს აკმარეს ჩინეთს?

იაპონიამ გარდა ამისა, წაართვა ჩინეთს ფორმოზა — ეს ჩინეთის დოვლათის ბეღელი. ჩამოართვა მრავალი წვრილი კუნძულები, ხელი ააღებია ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე და გადაახდევია ომის ხარჯების ასანაზღაურებლად 280.000.000 მანეთი. იაპონიამ სასტიკად დაამარცხა ჩინეთი, მაგრამ სხვა სახელმწიფოები, რომლებიც სისხლამღვრეული თვალებით მისჩერებოდენ ჩინეთს და ყველა სცდილობდა რაც შეიძლება ძეტი და უკეთესი ნაწილი დაეთრია, — არ დაანებეს იაპონიას ამოდენა ლუკმის ერთად გადაყლაპვა.

საქმეში ჩაერია რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია — ეს ისეთი სახელმწიფოები იყვნენ, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გული მოჯერებული ჩინეთის ძარცვა-გლეჯით. ამ სახელმწიფოებმა აიძულეს იაპონი, რომ მას ხელი აეღო ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის დაპატრონებაზე.

იაპონიამ ურჩობა ველარ გაბედა და ხმა ჩაიკმინდა.

ამ ამბების შემდეგ გერმანიამ უფრო-მოუჩქარა ჩინეთისაკენ თავიანთი ვაჭრებისა და სამხედრო ძალების გზავნას. გერმანიამ ისედაც დაიგვიანა ჩინეთისაკენ წამოსვლა, მას აქ სხვებმა მოასწრეს და საუკეთესო ადგილები სხვებმა ჩაიგდეს ხელში. ამიტომ გერმანია სცდილობდა რომ ყველაზე უკან მაინც არ ჩამორჩენილიყო. გერმანიასათვისაც ჩქარა დადგა მოხერხებული დრო.

ჩინელებმა გერმანელებს მოუკლეს ორი ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებელი ბერი. გერმანიის მთავრობაც,

თითქოს ამას უცდიდაო, თავზე დაებდღვნა შანდუნის ნახევარ-კუნძულს, მაგრამ რადგან მთელ ამ კუთხეს ვერ მოერია, კიაო-ჩაოს ყურე ჩაიგდო ხელში.

ეხლა გერმანიას რუსეთი გამოედევნა და იაპონიისაგან „განთავისუფლებული“ ლიაოდუნი თავის საზღვრებში შეიტანა. არც აქ შეჩერდა რუსეთის მთავრობა. მან „ჩინეთის ბისმარკს“ ლი-ხუნ-ჯანს ქრთამი შეაჩეჩა ხელში და მიიღო ჩინეთის თანხმობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გაყვანაზე.

ერთი სიტყვით ევროპის სახელმწიფოები ერთი მეორეს მისჩერებოდენ კანჭებში, თუ ერთი რამეს ჩამოგლეჯდა ჩინეთს, მაშინათვე მეორე და მესამე მიადგებოდა ჩინეთის მთავრობას კარებზე და, თუ ნებით ვერ მიიღებდა ჩინეთის მთავრობის თანხმობას, იარაღის წყალობით გაჭქონდა ლელო. ასე მოხდა ეხლაც. რუსეთისათვის რკინის გზის გაყვანის ნებართვის მიცემა და საფრანგეთისა და ინგლისის ახმაურება ერთი იყო. ყოველივე ამას ის მოჰყვა შედეგათ, რომ საფრანგეთმა მიიღო სამხრეთ ჩინეთში რკინის გზის გაყვანის უფლება და „იჯარით აიღო“ ქვანახშირის ზოგიერთი ბალაროს დამუშავება.

არც ინგლისი დარჩენილა ხელცარიელი, მანაც იხელთა სხვადასხვა სავაჭრო შეღავათები მდ. იან-ძეკიან-ის მიდამოებში, მას უბოძეს ნავთსადგური ვეი-ხაი-ვეი და შანდუნის ჩრდილო ნაწილი.

ამრიგათ, იმის შემდეგ რაც უცხოელებმა ფეხი შემოდგეს ჩინეთში, ჩინეთის წიწკნა-გლეჯა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა.

ჩინელებმა უცხოელებს ორფეხა კალია დაარქვეს. ჯერ მლვდლები - და მქადაგებლები შემოიპარენ ქურდულათ, მორცხვათ, თითქოს რაღაც კეთილი საქმის გასაკეთებ-

ლად; მღვდლებსა და ბერებს ვაჭრები მოყვნენ და მათ უკან კი ზარბაზნებით ტუჩებ გადმოშვებული გემები გამოჩნდა.

ჩინეთის ჩამორჩენილი ცხოვრება, სიღარიბე და ამავე დროს ჩინეთის მდიდარი ბუნება და უხვი ნიადაგი — აი ის ანდამანტი, რომელიც ასე მძლავრათ და ძალუმათ იზიდავდა უცხოელებს ჩინეთისაკენ.

დიდ ხანს ითმინა ჩინეთმა ეს დამცირება და ძარცვა-გლეჯა. ყრუ დრტვინვა და უკმაყოფილება ისმოდა ხალხში. ჩინეთის მთავრობა დამწვარზე მდუღარეს ასხამდა; მთავრობა — მთელი ეს ურდო, მეფიდან დაწყებული სოფლის უბრალო მოსელემდე, თვითონაც გულ მოდგინეთ, ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მეტი შეეძრო გლეხებსათვის რაც შეიძლება უკეთესად მოეწყო თავისი პირადი საქმეები და ხალხისათვის ხმის ამოღების საშუალება მ.ოესპ

სად იყო განკითხვა და სამართალი? მართალი და გამართლებული იყო ის, ვისაც ქრთამის მიცემა შეეძლო, ღარიბი მუდამ მტყუანი და დამნაშავე გამოდიოდა.

ასე იყო გამწარებული და გაბოროტებული ჩინელი გლეხობა, როდესაც მან მოინდომა ანგარიში გაესწორებია შინაურ და გარედან შემოჭრილ მტრებისათვის

ამ მოძრაობას ბოკსერების აჯანყებას, ანუ „დიდი მუშტის“ მოძრაობას ეძახიან.

ეს მოხდა 1900 წელს.

აჯანყებამ ჩრდილო ჩინეთში იფეთქა და იქიდან ელვის სისწრაფით მოედო მთელ ჩინეთს. გამწარებული ჩინელები თავს ესხმოდენ უცხოელებს და უმოწყალოთ ჟლეტდენ მათ, არ იყო დიდისა და პატარას გარჩევა. თავზარდაცემული უცხოელები შიშმა შეიპყრო, მაგრამ ბოლოს მათაც გამოიღეს ხელი.

ევროპიელების ზარბაზნებს არ გასჭივრებიათ უიარაღოთ აჯანყებულ ჩინელების დამორჩილება, სასტიკი და საშინელი იყო ამ „განათლებული“ ყაჩაღების შურისძიება ჩინელებზე. მათ ტყვიაც კი ეზოგებოდათ ჩინელებისათვის რამდენი იყო ისეთი მაგალითი, რომ ათასობით წინ გაიდენიდენ ხოლმე ჩინელებს და პირდაპირ წყალში შერეკავდენ დასახრჩობათ.

მათი სასტიკობის აღწერა მეტად ძნელია. სისხლით დამთვრალი ჯარები თავის შესაქცევათ ანადგურებდენ ჩინეთის სოფლებსა და ქალაქებს.

1901 წელს მოძრაობა უკვე ჩაქრობილი იყო, გამარჯვებული უცხოელების ზეიმს საზღვარი არ ჰქონდა.

სწორეთ ეხლა მიეცათ მათ საბაბი, რომ ჩინეთი სავსებით გაესრისათ. პირველ ყოვლისა, ჩინეთს დაადვეს აუარებელი ჯარიმა 650,000,000 მანეთი. ეს ჯარიმა ჯერაც გადაუხდელია, და უცხოელები ეხლაც ღებულობენ ამ ჯარიმის ფულს, ჩინეთის ისედაც გამოცარიელებულ ხაზინიდან.

ყველამ კარგათ მოითბო ხელი ჩინეთის ამ უბედურობაზე. მაგრამ ყველაზე მეტათ რუსეთმა ისარგებლა. რუსეთმა არ იკმარა თავისი ულუფა ჩინეთზე დაკისრებულ ჯარიმიდან, მან მოსთხოვა და დაიყოლია ჩინეთი, რომ მისთვის ბევრი სხვა შეღავათი და უპირატესობა მიენიჭებია.

რუსეთმა დაითანხმა ჩინეთი, რომ ის გაიყვანდა მანჯურიიდან თავის ჯარის მეტ ნაწილს, ხოლო რუსეთის ჯარი კი იქვე დარჩებოდა. ეს ნიშნავდა ჩინეთის მანჯურიიდან ფეხის ამოკვეთას და მის ნაცვლათ იქ რუსეთის გაბატონებას. გარდა ამისა, ჩინეთი შეჰპირდა რუსეთს, რომ მის დაუკითხავათ ჩინეთი არ მისცემდა არავითარ

უფლება-უპირატესობას სხვა სახელმწიფოებს არც მანჯურიაში, ©რც მონღოლიაში და არც ტიბეტში.

ამ ყოფაში იყო ჩინეთი მეცხრამეტე საუკუნის დამლევს.

ასე და ამ რიგად მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩინეთმა ისე გადმოაბიჯა ფეხი, რომ მას ყოველ მხრიდან უცხოელი კაპიტალისტების კლანჭები ჰქონდა სხეულში ღრმათ ჩასობილი.

მოხდა, თუ არა მასუკან რაიმე ცვლილებები?

მოხდა, რასაკვირველია; ჯერ ერთი რომ 1911 წელს ჩინეთის ხალხმა თავიდან მოიშორა მეფის მთავრობა. მეფე ტახტიდან გადმოაყენეს, და თვითმპყრობელობის მაგივრათ რესპუბლიკა დაარსეს. პირველი პრეზიდენტი ჩინეთის რესპუბლიკის სუნ-იატ-სენი იყო, მაგრამ რესპუბლიკის დაარსებამ ვერავითარი ცვლილება ვერ შეიტანა ჩინეთის მდგომარეობაში. ბურჟუაზიას დიდი იმედი და სურვილი ჰქონდა, რომ ამიერიდან ის წაუძღვებოდა სახელმწიფოს, მაგრამ ეს იმედი მას არ გაუმართლდა. სხვა და სხვა კუთხეებში გამაგრებულმა გუბერნატორებმა (მათ აქ დუ-ძიუნებსა და დუ-ბანებს ეძახიან) არ მოისურვეს ახალი წესწყობილებისადმი დამარჩილება.

ატყდა სამოქალაქო ომი, რომელიც დღესაც არ დასრულებულა. ჩინეთი რომ თავის ამარა ყოფილიყო დარჩენილი, ის აქამდე ავათ იქნებოდა, თუ კარგათ მოითავებდა ამ დაუსრულებელ შინაურ დავიდარაბას, მაგრამ ჩინეთი უცხოელების ლუკმათ არის გადაქცეული. უცხოელი კაპიტალისტებისათვის სრულებითაც არ არის საჭირო და საინტერესო, რომ ჩინეთის სამოქალაქო ომი დასრულდეს და ჩინეთში რესპუბლიკა განმტკიცდეს.

იმპერიალისტებისათვის ბევრათ უკეთესია ასე ნაწილ-ნაწილათ და კუთხე-კუთხეთ დაქუცმაცებული ჩინეთი. აქ

მეტი ხმა და მეტი გასავალი აქვს იმპერიალისტებს, ამიტომაცაა, რომ იმპერიალისტები ხან ერთს გუბერნატორს ეხმარებიან, ხან მეორეს. ერთი წყება იმპერიალისტებისა, რომ ერთ გენერალს აძლევს ფულს და იარაღს, მეორე წყება მეორე გუბერნატორს ამოიჩემებს და იმას აყრის თავზე ოქროს და უგზავნის ზარბაზნებს.

ამრიგათ, იყვნენ ჩამორიგებული სხვა და სხვა კუთხეებში ყველა ის გენერლები რომლების სახელებსაც ჩვენ ასე ხშირათ ვკითხულობთ ჩოლმე გაზეთებში ამ უკანასკნელ დროს. ყველა ეს გენერლები: უ-პეი-ფუ, ჩან-ძოლინი, სუნ-ჩუნ-ფანი და სხვ. ზოგი იაპონიისაკენ იყურება, ზოგი ინგლისისაკენ, ზოგი ორთავეკენ ერთად. არიან ერთი წყება გუბერნატორები, რომლებსაც არ ჰყავთ მუშტარი—ესენი იმ კუთხეებს მფლობელობენ სადაც უცხოელებს მაინცა და მაინც იმდენი არაფერი ესაქმებათ. მათთვის უმთავრესათ საინტერესოა იმ გუბერნატორების აყოლიება, რომლებიც უფრო დასამხრის ადგილებში არიან გამაგრებულნი.

მართალია, მას შემდეგ დღემდე არ დასრულებულა სამოქალაქო ომი, მაგრამ რევოლიუციამ მაინც ცოტა არ იყოს ჭკუა ასწავლა უცხოელებს. მათთვის დღეს აშკარაა, რომ ძველებურათ შეუძლებელია ჩინელის მიწა-წყლის დაპყრობა. რაც აქვთ წაღებული და მოტაცებული იმაზე, იმპერიალისტები, რასაკვირველია, ხელს არ იღებენ, მაგრამ ეხლა—რევოლიუციის შემდეგ—უფრო მეტი მოქნილობით და მოხერხებით შეიქმნა საჭირო მუშაობა.

დღეს კაპიტალისტები მაინც და მაინც აღარ გასდევენ მიწა-წყალის დაპყრობასა და შემომატებას. ან კი სულ ერთი არაა, ვისი სახელიც ერქმევა ამა-თუ იმ კუთხე

ქვეყანას, თუ კი მისი სახრავი უცხოელების ჯიბეში მოიყრის თავს!

სამაგიეროთ, ეხლა უფრო მაგრათ, ვიდრე უწინ, უჭერენ კაპიტალისტური ქვეყნის ყაჩაღები სალტეს ჩინეთს. უწინ თუ გარედან მოჰქონდათ საქონელი, ეხლა იმავე საქონელს აქვე ამზადებენ. აქ არის ნედლი მასალა, აქვეა მეტის-მეტათ იაფი მუშა-ხელი. მაშ, რაღა საჭიროა საქონლის შორიდან გადმოზიდვა. აქვე გაკეთებული საქონელი უფრო იაფი უჯდება კაპიტალისტს და ამრიგათ ისინი უფრო ადვილად ჰპოულობენ მუშტარს, დამხადებული საქონელის გასასაღებლათ.

მაშ რაში მდგომარეობს ეს ცვლილება? ცვლილება მოხდა, იმპერიალისტებმა უფრო ფრთხილათ დაიწყეს მუშაობა, მაგრამ არსებითათ ამ ცვლილებამ ჩინელებისათვის არავითარი შეღავათი არ მიუნიჭებია. მეოცე საუკუნეში უცხოელებმა უფრო მჭიდროთ გაიდგეს ფესვები ჩინეთში, მათ მხოლოთ ოდნავ შეცვალეს თავიანთი მოქმედების გარეგნული სახე, მაგრამ ამით არსებითად მდგომარეობა არ შეცვლილა, პირიქით ჩინელების გაჭირვებამ თუ იმატა, თორემ მას არაფერი მოჰკლებია.

მეორე ცვლილება, რაც მოხდა ამ ხნის განმავლობაში ეს იმაში მდგომარეობს, რომ ჩინეთის მტრებთა რიცხვს გამოაკლდა ერთი თითქმის ყველაზე უფრო ძლიერი და უტიფარი მოძალადე. 1917 წელს ძველი მეფის რუსეთი დაინგრა და მის ნაცვლათ აღმოცენდა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა არამც თუ ხელი აიღეს ყველა იმ ნაძარცვზე, რომელიც მეფის მთავრობამ წაართვა ჩინეთს, არამედ მხარში ამოუდგენ ჩინეთის დაჩაგრულ ხალხს და მზათ არიან დაეხმარონ მას, მტარვალების ხელიდან განთავისუფლების საქმეში.

დანარჩენი სახელმწიფოები ისევ ძველებურათ თავს დასტრიალობენ ჩინეთს და განაგრძობენ მის ტანჯვას.

უცხოელების ბატონობის გაძლიერებას ჩინეთის რევოლიუციის შემდეგ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩინეთში საშინელი სამოქალაქო ომი ატყდა.

ამ დაუსრულებელი ომის ისტორია მოკლეთ ასეთია:

1911 წლის რევოლიუციის შემდეგ პირველი დროებითი პრეზიდენტის ადგილი **სუნ-იატ-სენმა** დაიკავა — ეს იმ დროს მოხდა, როდესაც რევოლიუციის საბოლოოდ გამარჯვება კიდევ სათუო და საეჭვო იყო. ჩინეთის მიწაწყალის დიდი ნაწილი, მართალია, რევოლიუციონერებს ჰქონდათ ხელში, პეკინი მანჯურების გვარეულობის ბუნაგი, მართალია აღებული იყო, მაგრამ იქ მაგრათ იჯდა იუნ-ში-კაი, რომელიც იმ დროს ჩრდილოეთის სამხედრო ძალებს „შეი-იანს“ მეთაურობდა.

სუნი პრეზიდენტი იყო, მაგრამ სამხედრო ძალა იუნ-ში-კაის ჰქონდა ხელში. სუნ-იატ-სენმა ჩქარა შეატყო, რომ იუნ-ში-კაის ადვილათ შეეძლო ზურგი შეებრუნებია რევოლიუციისათვის, ამიტომ მან ასეთ ხერხს მიმართა. თავათ უარი სთქვა და პრეზიდენტის ადგილი იუნ-ში-კაის შესთავაზა. ამით აპირობდა სუნ-იატ-სენი იუნ-ში-კაის საჰუდამოთ რევოლიუციის მხარეზე გადმოყვანა და იმის ხელით სამუდამოთ წაექცია მანჯურების ტახტი.

იუნ-ში-კაის უარი არ უთქვამს პრეზიდენტობაზე, ის დაჯდა პრეზიდენტათ და კიდევაც გამოიყენა ეს ახალი თანამდებობა თავის ფარული მიზნების განსახორციელებლად. რა იყო მისი განზრახვა? — ჩინეთში მეფის ტახტის აღდგენა და, თუ ეს მოხერხდებოდა, მეფის ადგილს ის რასაკვირველია სხვას არავის დაუთმობდა; და ისიც სიფ-

რთხილით შეუდგა ამ განზრახული გეგმის განხორციელებას.

სანამ მისთვის საჭირო იყო ის რევოლიუციის ერთგულებას სჩემობდა, მაგრამ როცა ზურგი მოიმაგრა, რევოლიუციას ზურგიდან დაესხა თავზე და ის იყო ჩინეთის მეფის ტახტზე თვითონ უნდა დამჯდარიყო, როცა 1916 წელს უეცრად ავათ გახდა და გარდაიცვალა.

ამ ხნის განმავლობაში მან გარეკა პარლამენტი, რომელმაც ურჩობა გამოიჩინა და იუნ-ში-კაის თვითნებობისათვის ლაგამის ამოდება მოინდომა. იუნ-ში-კაიმ დაუბრუნა ადგილები მეფის ჩინოვნიკებს, რევოლიუციის მომხრე ხალხს ის სასტიკათ სდევნიდა.

ჩინეთი თითქოს ისევ ძველ გზასა და კვალს უნდა დაბრუნებოდა. გარეკილი პარლამენტის მაგივრათ ხელახალი არჩევნების შემდეგ ახალი პარლამენტი მოიწვიეს, მაგრამ ამ არჩევნების დროს, იუნ-ში-კაიმ ყველგან დაგზავნა საიდუმლოთ თავისი ხალხი, და პარლამენტში მხოლოდ ისეთები აირჩიეს, ვინც იუნ-ში-კაის საწინააღმდეგოთ სიტყვას არ იტყოდა.

ამ პარლამენტმა იუნ-ში-კაი დაამტკიცა ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ. სიკვდილის წინ იუნ-ში-კაის ისე ჰქონდა მოწყობილი საქმე, რომ მას მეფის გვირგვინი უნდა დაედგა თავზე, მაგრამ როგორც ზევით ვსთქვით, მას ეს აღარ დასცალდა.

სუნ-იატ-სენი ამ დროს, სამხრეთ ჩინეთში გუანდუნის მხარეში გამაგრდა, აქ მან თავის დამოუკიდებელი მთავრობა გამოაცხადა და პეკინის მთავრობას, ჩინეთის კანონიერ მთავრობათ არ სცნობდა.

იუნ-ში-კაის სიკვდილის შემდეგ სხვა და სხვა კუთხეებში მყოფმა ჯარის უფროსებმა არ მოისურვეს პეკინის

მთავრობის დამორჩილება, ყველა ცალ-ცალკე იმ კუთხეს დაეპატრონა, სადაც იყვნენ იუნ-ში-კაის სიკვდილის დროს და ერთი მეორეს კორტნა დაუწყეს.

სამოქალაქო ომის გაღრმავებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ უცხო ქვეყნის კაპიტალისტებისათვის უფრო ხელსაყრელი შეიქმნა ჩინეთის ასეთ ნაჭრა-ნაჭრა დაქუცმაცება. იაპონიამ ჩან-ძო-ლინთან გამართა მეგობრობა. ინგლისმა უ-პეი-ფუსთან, საფრანგეთმა კიდევ ის გენერლები დაიმეგობრა, რომლებიც იმ კუთხეებს ფლობდენ, სადაც საფრანგეთს მოწყობილი ჰქონდა თავისი საეაჭროები და სამრეწველოები.

თვით პეკინში ა'ესებობდა ვითომც რაღაც მთავრობის მზგავსი, რომელიც სხვა და სხვა სახელმწიფოების ელჩებსა და წარმომადგენლებს ღებულობდა და ესაუბრებოდა, მაგრამ ეს მთავრობა სრულებით უძლური და უმწეო იყო ყოველ შემთხვევაში მას იმაზე მეტი ძალა არ ჰქონია, რაც სხვა და სხვა კუთხეებში ჩამორიგებულ გენერლებს ჰქონდათ.

ვის ემსახურებოდა და ვის ინტერესებს იცავდენ ეს გენერლები?

თუ პირადათ გენერლებზე ვილაპარაკებთ, ისინი თავდაპირველად და უწინარეს ყოვლისა, ისინი თავის ინტერესებისათვის და თავისი ჯიბის სარგებლობისათვის მუშაობდენ. მაგრამ, როგორ ახერხებდენ ისინი ამ დაუსრულებელი ომებს, სად შოვილობდენ ისინი საამისოთ საჭირო ფულებს? ალბათ, მათ გარდა **სხვა ვინმესთვისაც** იყო საჭირო და სასარგებლო მათი მოქმედება, და როგორც გავს, სწორეთ ეს „სხვა-ვინმეები“ არ ზოგავდენ ხარჯსა და ფულს ამ გენერლებისათვის ხელის მოსაწყობათ.

ეს „სხვა ვინმე,“ თუ „ვინმეები“ არც ისე ძნელი მოსაძებნია; ესენია ის უცხოელი კაპიტალისტები, რომლებისათვისაც ჩინეთის გაერთიანება, მათი სანახევროთ დამარცხებასა და ჩინეთიდან ფეხის ალაგმას ნიშნავს. დაუძლურებული, დაქუცმაცებული ჩინეთი, მათთვის ბევრად უფრო ხელსაყრელია, ასეთ ჩინეთს ისინი უფრო ადვილათ დაადგამენ (და აკი დაადგეს კიდევაც!) მონობის უღელს.

გომინდანი და ჩინეთის რევოლიუცია

აი, ასეთ პირობებში ჩაისახა ის პარტია, რომელიც წინ უძღვის და ხელმძღვანელობს ჩინეთის რევოლიუციას*).

თავიდან ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დღევანდელი გომინ-დანი აღმოცენდა იმ პატარა ჯგუფიდან, რომელსაც სუნ-იატ-სენმა 1885 მოუყარა თავი დაი-ცინების (მანჯურიის სამეფო გვარეულობის) ტახტის დასანგრევათ. ამ ჯგუფს, როგორც ვიცით **„ჩინეთის განთავისუფლების კავშირი“** ერქვა სახელათ. ეს სახელი შერჩა მას იმ უკანასკნელ აჯანყებამდე, რომელსაც ბოლოს შედეგათ მოჰყვა მეფის ტახტის განადგურება. ამ ხნის განმავლობაში „ჩინეთის განთავისუფლების კავშირი“ საკმაოთ ჩამოყალიბდა და გარკვეული პოლიტიკური სახე მიიღო. თუ თავდაპირველად მისი მიზანი უმთავრესათ მეფის ტახტიდან ჩამოგდება იყო და ამის იქით ის არც კი იხედებოდა, ბოლოსა და ბოლოს, მას უკვე გარკვეული პოლიტიკური პროგრამა ჰქონდათ ხელში. ეს პროგრამა გულისხმობდა ჩინეთში მეფის მთავრობის ჩამოგდების შემდეგ **რესპუბლიკის დაარსებას**, ხოლო თვით რესპუბლიკის ძირითადი ნიშნები ჯერჯერობით არც თვით „განთავისუფლების

---

*) უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებს ჩვენ ცალკე გავარჩევთ.

კავშირს" ჰქონდა ხეირიანათ შემუშავებული. რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ჯგუფს სახელი გამოუცვალეს მას **ტუნ-მენ-ხუ** — დაარქვეს.

პარტიის მთავარი მიზანი იყო, ჩინეთის რესპუბლიკის განმტკიცება. პარტიის წევრები ვალდებული იყვნენ ხელი შეეწყოთ ახალი წესწყობილების საბოლოოთ გამარჯვებისათვის. პარტიის წევრებს აკრძალული ჰქონდათ, რომელიმე სხვა პარტიაში მონაწილეობის მიღება.

მაგრამ, ეს პარტია, მარტო ერთი არ იდგა პოლიტიკურ ასპარეზზე. რევოლიუციის გამარჯვებასთან ერთად თავი იჩინა მრავალმა სხვა პარტიებმაც. მართალია ამ პარტიებს არ ჰქონიათ წარსული, - მათ მხოლოთ რევოლიუციის წყალობით შემზადებულ ნიადაგზე წამოჰყვეს თავი, მაგრამ ისინი, ავათ იყო თუ კარგათ, მაინც არსებობდენ და სცდილობდენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას. ასეთი იყო მაგალ. პარტია **გუნ-ხე-დანი.** ეს პარტია თავის თავს რესპუბლიკანურ პარტიათ სთვლიდა და რესპუბლიკის დაცვას ისახავდა თავის მიზნათ. იყო მეორე პარტია. **ტუნ-ი-გუნ-ხენ ანი** ეს პარტიაც რესპუბლიკანური პარტია იყო, მაგრამ აქ უფრო ჭრელი ხალხი იყო თავმოყრილი და პოლიტიკური რწმენა ყველას მაინცა და მაინც ერთგვარი და ერთნაირი არ ჰქონიათ. გარდა ამისა იყო, სხვა წვრილ-ფვრილი ჯგუფები, მაგრამ მათ დიდი მნიშვნელობა პოლიტიკურ სარბიელზე არ ჰქონიათ.

ჩინეთში, სადაც ღია პოლიტიკური მუშაობის პირობები სულ ახალი ამბავი იყო, რესპუბლიკის მომხრე ჯგუფებისა და პარტიების ასე დანაწილება უეჭველად ზარალის მეტს არაფერს მოიტანდა. სწორეთ ამიტომ **ტუნ-მენ-ხუმ** ითავა დანარჩენ პარტიებთან მოლაპარაკება და

შანხაის აჯანყებელ მუშების მთავარი შტაბი.

ბოლოს კიდევაც მოახერხა ამ სამი ზემოთ ჩამოთვლილი მთავარი პარტიის შეერთება.

შეერთების შემდეგ ამ პარტიების ცალ-ცალკე სახელები გააუქმეს და გაერთიანებულ პარტიას დაარქვეს ახალი სახელი **გო-მინ-დანი**. ეს მოხდა 1912 წელს.

რა ნიადაგზე მოხდა ეს გაერთიანება, როგორი იყო ამ ახალი პარტიის პოლიტიკური პროგრამა?.

I. ჩინეთის გაერთიანება; პარტია ჰპირდებოდა თავის მხრივ დახმარებას მთავრობას, ამ მიზნის განხორციელებაში.

II. დემოკრატიული წესების დამყარება საზოგადოთ და კერძოთ ადგილობრივი თვითმართველობის შემოღება.

III. უცხო სახელმწიფოებთან კეთილი და მშვიდობიანი ურთი-ერთობა.

არ დასცალდა ამ პარტიას დიდი ხნის არსებობა. იუნ-ში-კაი თავიდანვე გლახა თვალით უყურებდა მას. ის კარგათ ამჩნევდა, რომ რესპუბლიკის მომხრე ძალების გაერთიანება მას სასიკეთოს არაფერს უმზადებდა.

ბოლოს, 1913 წ. ნოემბრის 4-ს, იუნ-ში-კაიმ გამოსცა ბრძანება პარტიის დაშლისა და მისი, ბელადების დატუსაღებისა და საზღვარგარეთ განდევნის შესახებ. სუნ-იატ-სენმა ერთ ხანს კიდევ სცადა, რომ საქმე როგორმე გამოებრუნებია. პარტიას სახელი გამოუცვალეს. წინანდელი სახელი გომინდანი, რაც ნიშნავდა (**გო**—სახელმწიფო, **მინ**—ხალხი, **დან**—პარტია) „სახელმწიფო სახალხო პარტია“—შესცვალეს და მის მაგივრათ **„ჩინეთის რევოლიუციონური პარტია“** დარქვეს. ვერც სახელის გამოცვლამ უშველა საქმეს. ყველგან, სადაც კი იუნ-ში-კაის ხელი მიუწვდებოდა, ამ პარტიასაც ისე სდევნიდა, როგორც გო-მინ-

დანს. ბოლოს სხვა გამოსავალი აღარ იყო, პარტიის ბელადებმა თავი მოაფარეს და ფარულ საიდუმლო მუშაობას მოჰკიდეს ხელი. ეს ახალი სახელი მას მაინც შერჩა და მხოლოდ 1921 წელს იმავე სუნ-იატ-სენის წინადადებით პარტიას ისევ ძველი სახელი დაუბრუნეს.

უქმათ და ფუქეთ არ ჩაუვლია მაინც გო-მინ-დანისათვის ამ დროს. მასუკან რაც რომ, სუნ-იატ-სენმა ფეხი მოიკიდა გუანდუნში და ცალკე დამოუკიდებელი მთავრობა გამოაცხადა, გო-მინ-დანსაც მიეცა აშკარათ მუშაობის საშუალება.

სწორეთ ამ დროს (1919 წ.) თვით სუნ-იატ-სენმა გარკვევით ჩამოაყალიბა პარტიის პროგრამა. რა იყო ამ პროგრამის მთავარი მუხლები?

I. პარტიის ძირითადი დებულება მოითხოვს სამი პრინციპის (სან-მინ-ჯუ) განხორციელებას; ესენია: ა) ნაციონალიზმი, ბ) დემოკრატიზმი და გ) სოციალიზმი.*)

II. პარტიის მიზანია დაამყაროს ისეთი წესწყობილება და ხელისუფლება დაყოფილი იქნება ხუთ ნაწილათ. ეს იქნება: ხელისუფლება კანონმდებელი, აღმასრულებელი, სასამართლო, გამოცდების და სასჯელის მომხდელი.

III. პარტიის მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში მუშაობს ის: პარტიას გათვალისწინებული აქვს მუშაობა:

I) სამხედრო პირობებში;

II) მშვიდობიან (კონსტიტუციურ) პირობებში.

როგორია მუშაობის შინაარსი **სამხედრო პირობებში?**

პარტიის მთელი ძალღონე მიმართულია იქითკენ, რომ მოსპოს რესპუბლიკის განხორციელებისათვის ხელის შემ-

---

*) ჩვენ ქვევით გავარკვევთ, თუ რა შინაარსით ღებულობდა გომინდანი ამ პრინციპებს.

შლელი პირობები. მთავრობა ხელს უწყობს და ამზადებს წინასწარ პირობებს, რომ შესაძლებელი შეიქნეს ადგილობრივი თვითმართველობების მოწყობა, სათითაოდ ყოველ კუთხეში.

მშვიდობიან პირობებში, მუშაობის შინაარსი სულ სხვაა.

ამ დროს უკვე დამყარებულია ყველგან თვითმართველობა; რესპუბლიკის ყველა **მოქალაქე***) ირჩევს თავის წარმომადგენელს საკონსტიტუციო კომისიაში. სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი კანონების (კონსტიტუციის) დასამუშავებლად.

IV. რესპუბლიკის აღდგენა: პირველი რევოლიუცია მოხვდა, მაგრამ რესპუბლიკა ჯერ-ჯერობით არსებითად გაუქმებულია, ამიტომ საჭიროა **რესპუბლიკის აღდგენა.**

აი, ეს არის ამჟამად პარტიის მთავარი მიზანი. სანამ ეს მიზანი განხორციელებული არაა, მთავრობა პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობს და ამავე დროს პარტია უწევს კონტროლს აგრეთვე სამხედრო ძალების ხელმძღვანელობასაც.

ეს პროგრამა კარგა ხნის წინათ არის დაწერილი. მას უკან ჩინეთის თავზე ბევრმა ამბებმა გადაიარა. ამ პროგრამით მოქმედებდა გო-მინ-დანი, ამ პროგრამით მიისწრაფოდა ის თავის მიზნის განხორციელებისაკენ.

რა არის ამ პროგრამის დედა-აზრი — ეს იგივეა, რაც იმ მოკლე დებულებაში იყო, რომლის ნიადაგზედაც შეერთდა რამდენიმე პარტია ერთად და საერთო სახელი გო-მინ-დანი დაირქვა.

---

*) ვის ეკუთვნის და ვის არა გო-მინ-დანის პროგრამით მოქალაქის უფლებები, ამის შესახებ ჩვენ მაშინ გვექნება ლაპარაკი, როდესაც გო-მინ-დანის პროგრამის ძირითად დებულებებს გავარჩევთ.

ჩინეთის გაერთიანება — **ესაა მთავარი აზრი,** ესაა მთავარი მოთხოვნა. ესაა სიდღეისო, დანარჩენი ხვალ-ზეგ და საზოგადოთ ჩინეთის გაერთიანების, მთელი ჩინეთის ერთი მთავრობის ხელში თავის მოყრის შემდეგ გასაკეთებელი საქმეა.

ჩინეთის ხალხი სასტიკად იტანჯება იმპერიალისტების ძალადობის გამო. იმპერიალისტების ნება სურვილის მოსამსახურეა ის გენერლები, რომლებიც ცდილობენ ჩინეთის ნაჭერ-ნაჭერათ გაკვეთას და მთელი ჩინეთის ნაწილ-ნაწილად, ევროპა-ამერიკასა და იაპონიის იმპერიალისტებისათვის ჩამორიგებას.

კუთხე-კუთხე დაყოფილი ჩინეთი ძალაუნებურათ კარჩაკეტილ ცხოვრებას, ფეხს ვერ გადაადგამს. ამით სუსტდება და ფერხდება საკუთარი ჩინეთის —საწარმოო ძალთა განვითარება. ჩინეთი უცხოელების ფეხქვეშ საგორებელ ბურთად იქცევა. მთელი ჩინეთი გრძნობს ამ უბედურებას; ყველა, რასაკვირველია, უცხოელებისაგან აღებული ფულებით ჯიბე გამოტენილ გენერლებისა და მათი დამქაშების გარდა.

ჩინეთის მთლიანობის აღდგენა: ასეთია გო-მინ-დანის მთავარი მიზანი, ამიტომ, რა გასაკვირველია, რომ ამ პარტიისაკენ მიდის ყველა, ვისაც ჩინეთის დღევანდელ მდგომარეობიდან გამოსავალის მონახვა ენატრება. ამიტომაა,რომ დღეს გო-მინ-დანის რიგებში ჩვენ ვხედავთ.**)

1) **ბურჟუაზიას.** (მსხვილსა და საშუალოს) რა ესაქმებათ გო-მინ-დანში? ბურჟუაზია მოდის გო-მინ-დანში

**) გო-მინ-დანში მომხდარ უკანასკნელ ამბებს, ჩვენ ცალკე გავარჩევთ. აქ ჩვენ ის მდგომარეობა გვაქვს მხედველობაში, რომელიც არსებობდა გო-მინ-დანში, ჩან-კაიშის კონტრ-რევოლიუციისაკენ წასვლამდე.

არა იმ სამი მცნების განხორციელებისათვის, (სან-მინ-ჯუ: — ნაციონალიზმი, დემოკრატია და სოციალიზმი) რომელიც გო-მინ-დანის პროგრამის პირველ მუხლშია მოთავსებული.

უფრო სწორა რომ ვსთქვათ, ის ამ მცნებიდან მხოლოდ **ერთს** მიიღებს და ისიც სანახევროდ. მას უნდა **ნაციონალიზმის** განხორციელება, რამდენადაც ის ჩინეთის გამრთელებასა და გაერთიანებას გულისხმობს. დემოკრატია, მას სანახევროთაც არ უნდა, ან, თუ უნდა ისე და იმდენად, რამდენადაც ყველა სხვა ქვეყნის ბურჟუაზიას: გამოსაჩენად დასანახვებლათ, ბრიყვებისა და უვიცებისათვის თვალის მოსაჭრელად და მათი გულის მოსაგებათ. მას სრულებითაც არ ენატრება მუშებთან და გლეხებთან „თავის გაყადრება“ და მათთან გათანასწორება, თანაბარი უფლებებით სარგებლობა.

გარდა ამისა, მას არამც თუ არ უნდა, ის მოსისხლე მტერია სოციალიზმის. ან რომელი გიჟია ჩინელი კაპიტალისტი, ჩინელი ვაჭარი, საზოგადოთ ჩინელი ბურჟუაზია, რომ მან თავისი დასაკვლავი დანის ბალღსვა თვითონ მოინდომოს.

მაგრამ ჩინეთის ბურჟუაზია მაინც მოდის გო-მინ-დანში და სუნ-იატ-სენის ამ სამი მცნების ნიადაგზე დგება. რატომ? იმიტომ რომ ეს სამი მცნება მას **ხვალინდელი** დღის საქმეთ მიაჩნია, ხოლო **დღევანდელი** საქმის გასაკეთებლათ მას მომხრე და მოკავშირე ესაჭიროება: **მას უნდა ჩინეთის ეროვნული განთავისუფლება,** ჩინეთიდან უცხოელების გაძევება და ჩინელი გლეხის, ჩინელი მუშის თავის საკუთრებათ დატოვება.

ვინ არის კიდევ გომინდანში?

2) წვრილი ბურჟუაზია

ესაა წვრილი ვაჭრები, ხელოსნები. ესენი სანახევროთ თვითონაც მუშაობენ სხვასაც ამუშავებენ. დიდი ავლადიდების პატრონი ხალხი ისინი არ არიან. რასაკვირველია მათთვისაც კარგია ჩინეთიდან უცხოელების გარეკვა. უცხოელი ვაჭარი, უცხოელი კაპიტალისტი მათ ხომ სულერთიანათ იმ მცირე წყაროსაც კი უშრობს, რომლითაც ისინი, ავათ იყო — თუ კარგათ, სულს იბრუნებდენ. ჩინელი ვაჭარი და ისიც რაღაც ორიოდე გროშის პატრონი, ჩინელი ხელოსანი, რომელიც მთელი დღე და ღამე თავჩაქინდრული მუშაობს, ან ერთი ან მეორე სად გაუძლებს უცხოელების ქიშპობას?

წვრილი ბურჟუაზია არც **დემოკრატიზმის** განხორციელებით წააგებს რამეს. ის არც ისეთი დიდი ვინმეა, რომ მუშისა და გლეხის გვერდში დაჯდომა იუკადრისოს, პირიქით, ის ბევრათ მოგებული იქნება თუ მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად, მასთან გათანაბრებული და გათანასწორებული მიიღებს მონაწილეობას, სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის საქმეებში.

მაგრამ რაც შეეხება **სოციალიზმს**, ხელოსანს, წვრილ ვაჭარს ისე არ უნდა სოციალიზმი, როგორც მძიმე ავადმყოფს სიკვდილი.

მართალია, ისინი დიდი საკუთრების პატრონი არ არიან, მაგრამ ეს მაინც კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებული კლასის ნაწილია. მათ თავიანთი ბედნიერება, საზოგადოთ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესობა, წარმოდგენილი აქვთ მხოლოთ თავიანთი კერძო საკუთრების განმტკიცების გამრავლებისა და გაძლიერების ნიადაგზე.

ვაჭარს -მეწვრილმანეს უკეთესი ბედნიერება არ წარმოუდგენია თავის თავისათვის, თუ ის ოდესმე დიდი ბი-

თუმ-სავაჭროს გაღებას მოახერხებს. იგივე ითქმის ხელოსანზედაც —მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, რომ ოჩაფეხა სახელოსნოს მაგივრათ ქარხნის მოწყობა ეღირსებოდეს.

ასეთია მათი სურვილი მათი მისწრაფება.

არა განსაზოგადოებრივობა საკუთრების, არამედ საკუთრების კერძოთ დაპატრონება; ასეთია ბურჟუაზიის სულისკვეთება საზოგადოთ და ამ სულისკვეთებითაა წვრილი ბურჟუაზიაც გაჟღენთილი. რაც ნაკლებათ აქვს ხელში მას ეს საკუთრება, მით უფრო მეტია მათი წყურვილი და მისწრაფება ამ საკუთრების შესაძენათ, შესამატებლად.

ვის ვხედავთ სხვას კიდევ გომინდანში?

3) გლეხებს.

ჩინელ გლეხს ბევრი სატკივარი აწუხებეს, მარტო უცხოელების ჩინეთიდან წასვლით მისი სატკივარი არ მოშუშდება. რასაკვირველია იმ პირობებში, რაც დღესაა ჩინეთში, ჩინელი გლეხი უკეთეს მდომარეობას ვერ ეღირსება. სანამ თვითეული კუთხე — ქვეყანა ცალ-ცალკე ჯარის უფროს გენერლების ხელშია, ჩინელი გლეხი წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. თავის კუთხეში ჩაკეტილი, გარეთ სხვაგან წასვლის საშუალებასაც კი მოკლებულია დღეს ჩინელი გლეხი. ის, აქაა მიწაზე მიკერებული, მას უმოწყალო ვალები აწევს კისერზე გადასახდელათ. მიწას ის თავს ვერ დაანებებს, მოვალეებს ვერსად გაექცევა.

უცხოელების წასვლა, მას ზარალს არ მოუტანს, სხვა რომ არაფერი იყოს ეს დაუსრულებელი სამოქალაქო ომი მაინც მოისპობა და მასაც ასე წარამარა გადასახადების მოთხოვით მაინც აღარ შეაწუხებენ. მაშინ იქით-აქით მოსიარულე ჯარი ფეხით მაინც აღარ გათელავს მის ნახნავსა და ნათესს, მაგრამ გლეხის უბედურება ამით მაინც არ მოიშლება. გლეხისათვის, პირველ ყოვლისა, იმ საში-

ნელ ჯოჯოხეთიდანაა საჭირო თავის დაღწევა, რომელ-შიც ის დღეს იმყოფება. ჩინეთში მოსახლეობის ცხრა მეათედი გლეხობაა. მიწა, სახნავ-სათესი გლეხობას სამ-ყოფად და საკმარისად არა აქვს. მთელი გლეხობის ნახე-ვარს თითო-თითო ქცევა*) სახნავ-სათესიც კი არ მოე-პოვება. ვინ იცის, რამდენი მილიონი გლეხია ჩინეთში ისეთი, რომ ქცევის ნახევარი და მეოთხედიც კი არ მოე-ძებნება. სამაგიეროთ იშვიათია ისეთი გლეხი, რომ ქცევა და ქცევაზე ცოტა მეტი მაინც ჰქონდეს.

ვის ხელშია მიწა? ვის საკუთრებას შეადგენს ის?—ჩი-ნეთში ასე ამბობენ: —მიწა არავის არ ეკუთვნის მიწა ხელ-მწიფის საკუთრებას შეადგენსო. მაგრამ მეფე ხომ აღარ არის ეხლა ჩინეთში? მაშ მიწა მას უნდა რგებოდა? ალბათ მას, ვინც მიწას ამუშავებს და მიწის მოვლით თავს ირჩენს. შეიძლება ასედაც მომხდარიყო, მაგრამ ერთი გვირგვი-ნოსანი მეფის მაგივრათ ჩინეთს დღეს იმდენი უგვირგვინო მეფე ჰყავს, რამდენიც კუთხეა მთელ ჩინეთში. დუ-ძიუნები ანუ დუბანები (ჩვენებური უწინდელი გუბერნატორის თა-ნაბარი თანამდებობაა) თვითონ აქირავებენ ეხლა მიწას. მი-წის მუშა აძლევს ქირას ან ფულით ან და უფრო ხშირად მოსავალის ნაწილით. განაწილება კი ასეთია; ოთხი, ხუთი წილი ქირაში მიდის, მიწის მუშას კი ერთი წილი რჩება.

გლეხს აუარებელი გადასახადები აწევს კისერზე, რა-მოდენიმე წლის გადასახადს მას ხშირად წინდაწინ ახდე-ვინებენ ათასი სხვა შევიწროვება და იძულება ადგია გლეხს ჩინეთში.

გლეხობა ღებულობს მონაწილეობას გო-მინ-დანში მაგრამ ის აქ, მარტო იმიტომ კი არ მოდის, რისთვისაც

---

*) ქცევა 900 კვადრ. საჟენია.

მსხვილი ან წვრილი ბურჟუაზიაა. არა! მას მარტო უცხოელების გაძევებით ვერ შეიყოლიებ მას **მიწა უნდა მისცე**, გადასახადები შეუმსუბუქო, მევალეების კლანჭებიდან უნდა დაიხსნა.

ვერც მარტო **დემოკრატიზმის** შემოღებით დააკმაყოფილებ გლეხს. მისთვის საჭიროა მიწა, და მას ის მხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც ხელისუფლების სათავეში ჩადგება მუშები თვით ამ გლეხებთან ერთად. მხოლოთ მაშინ მოხერხდება მიწების, მემამულეებისა და ჩინოვნიკებისათვის ჩამორთმევა და მიწის მშრომელი გლეხებისათვის გადაცემა. მაშ რატომ მიდის გლეხ-კაცობა გომინდანში? იმიტომ, რისთვისაც მიდის ჩინელი მუშაც.

4) ჩინელი **მუშებიც** ღებულობენ მონაწილეობას გომინდანში. რა მიზნით, რა განზრახვით?

ჩინელი მუშას რომ ჰკითხოთ, უნდა თუ არა მას უცხოელების ჩინეთიდან გაძევება -- ის უსათუოდ გეტყვისთ, რომ ის მთელი თავისი ძალ-ღონით იბრძოლებს უცხოელების გასაძევებლათ. აქ ის სავსებით მხარში უდგია ჩინელ ბურჟუაზიას (მსხვილს, საშუალოს, წვრილს) და რამდენათაც საკითხი მხოლოდ ასე სდგას, ჩინელი მუშა ამ საერთო ბრძოლას თავს ვერ მოარიდებს და არც მოარიდებს.

რასაკვირველია, მას არაფერი სწამს ბურჟუაზიის ლოზუნგის, რომელიც ჩინეთს მარტო ჩინელი ბურჟუაზიის საკუთრებათ დატოვებას გულისხმობს; მას ჩინეთი ჩინელი მუშის, ჩინეთის მშრომელი ხალხისათვის უნდა.

უცხოელი იმპერიალისტების ბატონობისაგან განთავისუფლებულ სამშობლოში ჩინელი მუშა არც იმ შემთხვევაში დაადებს შემოსავალ კარს ურდულს, როცა იქ სხვა ქვეყნის მშრომელი ადამიანი მოინდომებს მისვლას და თუნდა დაბინავებას.

მუშა ვერც მარტო ხმელა დემოკრატიზმით გაიძღეპს სიმშილით გამხმარ კუჭს, მისთვის ისაა უფრო საჭირო, რაც დანარჩენებისათვის — ზოგისთვის ნაკლებათ გამოსადეგია ზოგისათვის კი საზარალო და საზიანოცაა. გო-მინ დანში ის მიდის **სოციალიზმისათვის**; სოციალიზმის განხორციელებისათვის.

მუშებმა კარგათ იციან, რომ სოციალიზმის განხორციელებისათვის წინასწარ საჭიროა ჩინეთის ეროვნული განთავსუფლება. მაგრამ ის ბრძოლის პროგრამას ისე ვერ გაჰყოფს, როგორც ბურჟუაზია. ის ბურჟუაზიასთან ერთად სდგას ბრძოლის ველზე, ერთად ურტყამს საერთო მტერს, მაგრამ ამავე დროს ის არ ივიწყებს, რომ ნისიათ ბრძოლა და მუქთად ბურჟუაზიის სასარგებლოთ მუშაობა მას არ გამოადგება. ამიტომ ის სრულებითაც არ მალავს, რომ ამ ბრძოლიდან გამოელის, არამც თუ მარტო ჩინეთის უცხოელების ბატონობისაგან განთავისუფლებას, არამედ თვით ჩინელი მუშის განთავისუფლებასაც, როგორც უცხოელი ისე ადგილობრივ ჩინელი ბურჟუაზიისაგან ის ნისიად არავის ენდობა და ამიტომ ის ეხლავე უყენებს ჩინეთის ბურჟუაზიას მოთხოვნილებებს მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; (ხელფასის მომატება, სამუშავო დღის შემოკლება და სხვა).

ასეთი იყო გო-მინ-დანის პროგრამა თავდაპირველად, როდესაც მან კანტონის კუთხე ჩაიგდო ხელში და სამხედრო ძალების თავის მოყრას შეუდგა.

გოუმინდანის ახალი პროგრამა

ჩვენ ვიცით გო-მინ-დანი დაერქვა სამ შეერთებულ პარტიას. ეს იყო 1912 წელს. პარტიამ ერთი წლის არსებობაც კი ვერ მოასწრო, როდესაც რეაქციის სუსხმა

წამოუბერა და ისიც იძულებული შეიქმნა მიმალულიყო და ფარული მუშაობის პირობებში განეგრძო ძალების დაგროვება. პირველი ჩამოყალიბება გო-მინ-დანის მთავარი დებულებების იმავე წელს მოხდა, რა წელსაც თვით გო-მინდანი დაარსდა. შემდეგ 1919 წელს, როდესაც სუნ-იატ-სენმა ფეხი მოიმაგრა გუან-დუნში (კანტონში) და ცალკე მთავრობა მოაწყო, მან ჩამოაყალიბა პარტიის წესდება და პროგრამა; ამ პროგრამის მთავარი მუხლების შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. საქმეთა ვითარებამ სუნ-იატ-სენი ჩქარა დაარწმუნა იმაში, რომ:

I) უსაფუძვლო იქნებოდა ბრძოლის დაწყება და გამარჯვების იმედი უიმისოთ, თუ ამ ბრძოლაში არ მიიღებდა მონაწილეობას ჩინეთის მუშათა კლასი და ჩინელი გლეხკაცობა.

II) მუშათა კლასის ბრძოლაში ჩასაყოლიებლათ საჭირო იყო პროგრამის ზოგადი დებულებების უფრო გარკვეული შინაარსით გავსება და პროგრამაში მუშათა კლასისათვთის საჭირო მოთხოვნილებების შეტანა.

მართალია, გო-მინ-დანის პროგრამაში იმ თავიდანვე იყო ნახსენები სოციალიზმი, მაგრამ ეს უფრო რაღაც განყენებული და ხორცშეუსხმელი დებულება იყო. სუნი დარწმუნდა, რომ იმ პროგრამას, რომელმაც საბრძოლველათ უნდა გამოიყვანოს მუშათა კლასი, უფრო გარკვეული და ნათელი გამოსახულება უნდა ჰქონებოდა. ამ მიზნით გო-მინ-დანმა მოიწვია საგანგებო ყრილობა 1924 წელს თებერვალში.

ახალი პროგრამა ძველიდან უმთავრესად იმით განირჩევა, რომ ამ პროგრამაში გარკვეულათ არის ნათქვამი, თუ რა შინაარსით ღებულობს გო-მინ-დანი თავის ძირითად დებულებებს და რისი შესრულება მიაჩნია მას საჭი-

როთ ახლო მომავალში, ესე იგი, დღესვე-ბრძოლის დაწყებამდე და—სახვალიოთ ბრძოლის გამარჯვებისთანავე. იქვე უნდა ყოფილიყო გარკვეული, თუ რას იტოვებს შესასრულებლათ გო-მინ-დანი შორეული მომავალისათვის.

ამ რიგად ჩამოყალიბდა გო-მინ-დანის ახალი პროგრამის პრინციპები, პროგრამის მთავარი დებულებები.

გო-მინ-დანის მთავარი დებულებები

ნაციონალიზმი, დემოკრატიზმი და სოციალიზმი — აი რა აწერია გო-მინ-დანის დროშაზე, ამის განხორციელებისათვის იბრძვის ის და თავს უყრის ყველას, ვისაც სწამს ეს სამი მცნება. ამ დროშით მიდის გო-მინ-დანი ყველგან და ჩინეთის ხალხის თითქმის ყველა წრეებში ჰპოვილობს მომხრეებსა და თანამგრძნობებს. პირველად ეს დებულებები სუნ-იატ-სენმა დაიმუშავა. გავარჩიოთ ცალ-ცალკე თვითეული მათგანი.

ა) ნაციონალიზმი.

გო-მინ-დანის ნაციონალიზმი არ არის განყენებული მცნება ეს დებულება მჭიდროთ არის ჩაქსოვილი ჩინეთის დღევანდელ ვითარებაში.

ჩინეთი უცხოელებისაგან დაბეჩავებული და დაბრიყვებული ქვეყანაა.

ჩინელი ჩინეთში პატივ-აყრილი და ღირსება ახდილია. ჩინეთის ქალაქებში უცხოელები ცალკე უბნებში ცხოვრობენ, ჩინელს იქ უცხოელების ნებართვის გარეშე ფეხის დადგმის უფლებაც კი არა აქვს. უცხოელს შეუძლია ყოველგვარი შეურაცყოფა და იძულება მიაყენოს ჩინელს — მან ეს უნდა აიტანოს. უცხოელს შეუძლია ჩინელი თუნდა სიცოცხლეს გამოასალმოს – მას ამისთვის მაინცა და მაინც არავინ გამოეკიდება – შეიძლება პასუხი აგებინონ, მაგრამ

ისე— „წესის გულისთვის“. ჩინური სასამართლო, უცხოელს პასუხის-გებაში ვერ მისცემს, სასჯელს ვერ გადაუწყვიტავს, ხოლო უცხოელების სასამართლო ჩინეთში, ჩინელს უბრალო დანაშაულისათვის სასტიკათ დასჯის და ჩინელი ამ განაჩენს უნდა დაემორჩილოს სიტყვის შეუბრუნებლად.

გრძნობს, თუ არა ჩინეთი ამ თავის დამცირებას?

რასაკვირველია, გრძნობს! უნდა, თუ არა მას ამ მდგომარეობიდან თავი დააღწიოს?-დიაღაც რომ უნდა,—და აი, ეს შეადგენს დღეს ჩინეთის რევოლიუციის ერთ მთავარ მიზანს.

„ჩინეთი უნდა განთავისუფლდეს უცხოელების ბატონობისაგან;—ჩინეთი ჩინელებს ეკუთვნის. ჩინელი თავის ქვეყნის სრულ-უფლებიანი მოქალაქე უნდა გახდეს“--აი, ამას გულისხმობს გო-მინ-დანის პროგრამის ის მუხლი, რომელიც ნაციონალიზმის განხორციელებას მოითხოვს.

უცხოელების ბატონობის მოსპობა ჩინეთში შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როდესაც ჩინეთის რევოლიუცია ამ სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტების ფულით მოქრთამულ გენერლებს იარაღს დააყრევინებს—ამიტომ ნაციონალური მიზნის განხორციელება გო-მინ-დანს ესმის როგორც ბრძოლა ჩინელი მილიტარისტების წინააღმდეგ. როცა დამარცხდება მილიტარისტები — ყველა ეს დიდი და პატარა გენერლები, რომლებიც უცხოელების ნასუფრალით იკვებებიან, უცხოელების ბატონობას წაექცევა მაშინ დასაყრდნობი ბოძი: ჩინეთი განთავისუფლდება, ჩინელი თავის ქვეყნის სრულ-უფლებიან მოქალაქეთ გადაიქცევა.

მაგრამ ჩინეთში ხომ მარტო ჩინელები არ ცხოვრობენ? აქ ბევრია სხვა მოდგმისა და სხვა ეროვნების ხალხიც. ჩინელების საერთო ბედს ისინიც იზიარებენ — სა-

ერთო უბედურებიდან არც ისინი შეადგენენ გამონაკლისს. პირიქით, ამ დაუსრულებელ სამოქალაქო ომების დროს ხშირად ამ ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობას სხვაზე უფრო მწარეთ და მწვავეთ ატყდებათ თავზე ყოველგვარი უბედურება.

გო-მინ-დანის პროგრამა გულისხმობს ყველა ეროვნების მოსახლეობის გათანასწორებას კანონის წინაშე.

— არც ერთს ჩინეთის მიწა-წყალზე მობინადრე ერს (და მათ შორის, თვით ჩინელებსაც) არავითარი უპირატესობა!

— ყველას თანასწორი უფლებები და თანასწორივე მოვალეობანი! ასეთი იყო სუნის მიერ ნაჩვენები გზა და ამ გზას ადგა დღემდე გო-მინ-დანი.

რამდენათ გაანაღდა გო-მინ-დანმა ეს დაპირება? სანამ გო მინ-დანი ერთ მთლიან ბებრძოლ რაზმს წარმოადგენდა, სანამ გო-მინ-დანის შიგნით განხეთქილება ჩამოვარდებოდა, — მთელი პარტიის ყურადღება ერთ მთავარ მიზნებისაკენ იყო მიპყრობილი. ეს იყო ძალთა შემჭიდროება და ჩრდილოეთში გამაგრებული მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. ამის გამო, პარტიას არ შეეძლო მთელი თავისი პროგრამა გაეშალა და მის განხორციელებას შესდგომოდა.

მას უკან რაც მოხდა — ჩვენ უკვე ვიცით. კანტონის ჯარმა წაართვა ჩრდილოეთის მილიტარისტებს ჩინეთის მიწა-წყლის ნახევარზე მეტი, მაგრამ ამ დროს განხეთქილებამ იჩინა თავი თვით გომინდანის რიგებში.

გო-მინ-დანი ორ უთანასწორო ბანაკათ გაიყო. დღეს ერთ ბანაკშია პარტიის მცირე ნაწილი, მან აშკარად უღალატა რევოლიუციას, ის ჩინეთის მშრომელ ხალხს ზურგიდან თავს ესხმის, ტყვიას უშენს მუშებს და ამავე დროს

სცდილობს უცხოელ მოძალადეებიან და შინაურ ყაჩაღებიან შეთანხმების, სამშვიდობო მოლაპარაკება გამართოს.

დღეს ეს ნაწილი გუშინდელი თავიანთ მტრებთან დაახლოებისა და შეთანხმებისათვის საჭირო ბილიკს ეძებს. ეს ნაწილი გო-მინ-დანისათვის ერთხელ და სამუდამოდ დაკარგულია. რასაკვირველია ჩან-კაი-ში და მისი გამ-ყოლნი, — თუნდა კიდევაც რომ მიაღწიონ მათ თავიანთ მიზანს — ჩინეთის განთავისუფლებაზე და მით უმეტეს ჩი-ნეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეო-ბის გაუმჯობესების ფიქრით თავს არ შეიწუხებენ. რაც შეეხება რევოლიუციონურ გო-მინ-დანს, ესე იგი მის დიდ ნაწილს, რომელიც სუნ-იატ-სენის მიერ დატოვებული დრო-შით სდგას ბრძოლის ველზე, ის ეროვნულ უმცირესობათა გათანასწორებას თავის სამოქმედო პროგრამიდან ვერ ამოიშლის და არც ამოშლის.

ბ) დემოკრატიზმი.

დემოკრატიზმი, როგორც ეს მცნება სუნ-იატ-სენს ეს-მოდა, სრულებით არ ჰგავს, იმ სანაქებო და სანეტარო „ბედნიერებას", რომელიც ასე მაგრათ აქვთ დაკერებული ენაზე ყველა ქვეყნის ეგრეთწოდებულ; „დემოკრატებს" და „სოციალ-დემოკრატებს".

დემოკრატიული წესწყობილება, მართალია, ყველა მო-ქალაქეს თანასწორსა და თანაბარ, უფლებებს აძლევს, მაგრამ **მოქალაქეთ** გო-მინ-დანს მიაჩნია მხოლოდ ის, ვისაც, თავის მხრით, სწამს რევოლიუცია, ვინც იბრძვის რევოლიუციის გასამარჯვებლათ და რევოლიუციის წყა-ლობით შეძენილი თავისუფლების დასაცავათ.

ბურჟუაზიას საყოველთაოთ დიდი შრომა მიუძღვის „დემოკრატიის" შესალამაზებლათ, შეთხუზული ცბიერე-

ბის და ყალთაბანდობის გამოგონებაში. ბურჟუაზია „მოქალაქებრივ უფლებებს“ თვითეულ ადამიანის აუცილებელ კუთვნილებათ სცნოს. დაიბადა ადამიანი, დასრულწლოვანდა და ის უკვე ყოველ პირობების გარეშე სარგებლობს მოქალაქის ყოველივე უფლებით, — ასეთია ბურჟუაზიული დემოკრატიზმი. ბურჟუაზიას თვითონაც არ სწამს არც ასეთი და არც არავითარი დემოკრატიზმი — ეს მხოლოდ ის მოჩვენებაა, რომლითაც ბურჟუაზიას უნდა თავი შეაყვაროს და თვალი აუხვიოს მშრომელ ხალხს. ჩინეთის რევოლიუციის ბელადს, სუნ-იატ-სენს, არ სწამდა ასეთი დემოკრატიზმი.

— ვინც იბრძვის მშრომელ ხალხის კეთილდღეობისათვის, ვინც იცავს და უვლის მშრომელი ხალხის თავისუფლებას — მას აქვს ყოველივე უფლებები, ის სრულუფლებიანი მოქალაქეა. მაგრამ ყველასა და თვითეულს, იმის განურჩევლათ და განუკითხავათ, ვინც არ უნდა იყოს ის, მშრომელი ხალხის მტერი თუ მოყვარე — მოქალაქის უფლებების მინიჭება გო-მინ-დანს შეუძლებლათ მიაჩნია.

ბ) სოციალიზმი.

სოციალიზმი მიღებულია, როგორც პროგრამის ერთი მთავარი მუხლი. ეს არა რაღაც შორს ცხრამთას იქით და ცხრა კლიტულში დამწყვდეული, მზეთუნახავი. გო-მინ-დანი, მას დღის წესრიგში აყენებს, მაგრამ ამავე დროს ის უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ სოციალიზმის სრული განხორციელება რამოდენიმე მახლობელი წლის განმავლობაში არ მოხერხდება. ამიტომ ის სადღეისოთ აყენებს ისეთ მოთხოვნილებებს, რომელიც გაუადვილებს ჩინეთის მუშებსა და გლეხებს სოციალისტური საზოგადოების საბოლოოთ მოწყობის საქმეს. ჩინეთის მშრომელი ხალხი ორ მთავარ ნაწილად არის გაყოფილი

ესაა გლეხები და მუშები. როგორ მოთხოვნილებებს აყენებს გო-მინ-დანი თვითეულ მათგანისათვის.

1) ჩინეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, თითქმის ცხრა მეათედს გლეხ-კაცობა შეადგენს. გლეხკაცს ᲐᲠᲐ აქვს მიწა. უმიწა-წყლოთ დარჩენილი გლეხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, სანამ ის თავს არ დაიხსნის მათ კლანჭებიდან, ვინც ამ მიწას დაპატრონებია.

გო-მინ-დანი მოითხოვს, რომ მთავრობამ გლეხობას დაურიგოს უფასო სახნავ-სათესი მიწა. საიდან უნდა მისცეს მთავრობამ ეს მიწა გლეხებს? მან უნდა მოაწყოს დასარიგებელი მიწის ფონდი. როგორ უნდა მოუყაროს თავი მთავრობამ გლეხებისათვის დასარიგებელ მიწებს?

მან უნდა შეიძინოს ეს მიწები კერძო მესაკუთრეებიდან. **შეიძინოს** და არ **ჩამოართვას**. გო-მინ-დანი არ მოითხოვს მიწების უფასოთ ჩამორთმევას. რატომ? შეიძლება იმიტომაც, რომ გო-მინ-დანს, სადღეისოთ და პირველ-ყოვლისა უცხოელების ბატონობისაგან თავის დახსნას ისახავს მიზნათ და ამიტომ ის სცდილობს რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაიყოლიოს მთელი ჩინეთის ხალხი. შეიძლება ამის გამო, მას სხვადასხვა მოსაზრებით სახიფათოდ მიაჩნდა პროგრამაში ისეთი მუხლის შეტანა, რომელიც მიწის მესაკუთრეებს გო-მინ-დანის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადააგდებდა, თუმცა, როგორც უკანასკნელ ამბებიდან სჩანს, ამან მაინც ვერ ააცდინა გო-მინ-დანის შიგნით თავმოყრილი ძალების ერთმანეთის წინააღმდეგ გამიჯვნა

მიწების შესაძენათ მთავრობა ასეთ წესს ამყარებს. თვითეული მიწის მესაკუთრე თვითონ აცხადებს თავის მიწის ფასს, მაგრამ მთავრობისათვის სავალდებულო არ არის მაინც და მაინც ამ მიწის შეძენა. ვთქვათ მემამუ-

ლემ თავისი მიწას ღირებულზე მეტი ფასი დაადვა, მაშინ მთავრობა მიწას აღარ ყიდულობს და შეფასების კვალობაზე გადასახად'ს ახდევინებს მიწის პატრონს. მაგრამ, შეიძლება, დიდ გადასახადის შესამცირებლათ ᲫᲐ ასაცილებლად მამულის პატრონმა თავის მიწას განგებ დაუკლო ფასი. ამ შემთხვევაში მთავრობა სარგებლობს თავისი, უფლებით, ის იხდის სწორეთ იმ ფასს, რომელიც მემამულემ განაცხადა და მიწა სახელმწიფო საკუთრებათ გადადის. ამრიგად მიწის პატრონისათვის საზარალოა, როგორც ფასის მომატება, ისე დაკლებაც და ამ ორმაგი ხერხით ძთავრობა ერთი და იმავე მიზნის განხორციელებას მისდევს. ის სცდილობს მემამულე ისეთ პირობებში ჩააყენოს რომ მისთვის საზარალო იქნეს მიწის ფასის განზრახ, როგორც გადიდება, ისე შემცირება.

გარდა ამისა, მთავრობა იტოვებს უფლებას იძულებით ააღებინოს ხელი მიწაზე იმ პირებს, რომლებსაც სხვა საღსარიც აქვთ საცხოვრებლათ, მაგალითად მათ ვინც ვაჭრობას ეწევა ან და, ვინც სამსახურში არის და ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲡ ღებულობს ან და კიდევ, ვინც გასესხებულ ფულის სარგებლით ირჩენს თავს.

მთავრობა თავის თავზე იღებს მოვალეობას:

1) დაეხმაროს გლეხკაცობას სარწყავი არხების გაყვანაში;

2) მოაწყოს და მოაწესრიგოს გადასახადების საქმე;

3) ხელი შეუწყოს უვარგისი მიწების დასამუშავებლათ საჭირო ზომების განხორციელებას და სხვა.

მთავრობა ვალდებულია, გარდა ამისა, გაუწიოს ანგარიში იმ გარემოებასაც, რომ გლეხკაცობის დიდი-უმრავლესობა ვალებშია ჩაფლული. ფულის გამსესხებელი ისეთ დიდ სარგებელს ახდევინებს მოვალეს, რომ გლეხს წლი-

დან წლობამდე ვალი თუ ემატება, თორემ არ აკლდება. ამისდაკვალათ გლეხკაცის ცხოვრებას სულ უფრო და უფრო მეტი გაჭირვება ატყდება თავზე.

მთავრობა მოვალეა მოაწყოს ღარიბი გლეხისათვის იაფი სესხის მიმწოდებელი დაწესებულებები. ყოველივე ამის განხორციელება, საშუალებას მისცემს მთავრობას, რომ მან თანდათანობით წინ წამოსწიოს გლეხკაცობის კეთილდღეობა.

ეხლა **მუშების** შესახებ.

რა და რა მოთხოვნას აყენებს გო-მინ-დანი სადღეისოთ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ?

ჯერ ერთი, რომ სახელმწიფო, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს თავის თავზე, მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭირო კანონების გამოცემა.

მუშა ყოველთვის ვერ შოულობს სამუშაოს, ის ხშირად უმუშევარათ არის,—უმუშევარს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს.

განსაზღვრული წლოვანობის შემდეგ, მუშას უფლება აქვს მოსთხოვოს და მიიღოს მთავრობისაგან უზრუნველყოფა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს აგრეთვე მუშა იმ შემთხვევაში, უკეთუ ის სამუშაოზე დასახიჩრდება, ან და დაავადმყოფდება და შრომის უნარს დაჰკარგავს. განსაზღვრული უნდა იქნეს კანონის ძალით, აგრეთვე ისიც, თუ რა ხნის ადრე არ შეიძლება მოზრდილების სამუშაოზე მიღება და სხვა.

სავალდებულო უნდა იქნეს აგრეთვე დახმარება მუშაქალებისათვის მშობიარობისა და ავადმყოფობის დროს.

ასეთია გო-მინ-დანის პროგრამაში მუშთა კანონმდებლობა.

რაც შეეხება მრეწველობას, გო-მინ-დანი დღეს დღეობით არ ისახავს მიზნათ მთელი მრეწველობის სახელმწიფოსათვის გადაცემას.

მთავრობა დღესვე უნდა დაეპატრონოს და უხელმძღვანელოს მრეწველობის ისეთ დარგებს, რომელსაც სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ რკინის გზები ტ მიმოსვლის სხვა საშუალებები, ბანკები და სხვა ამ თავითვე მთავრობის ხელში უნდა გადავიდეს.

მთელი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლათ აუცილებლად საჭიროა სწავლა განათლების გავრცელება. ამიტომ ერთ მოთხოვნილებათ, საყოველთავო სწავლის შემოღებაც სწერია გო-მინ-დანის პროგრამაში. გო-მინ დანი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელია იმის გარეშე, თუ მთელი ჩინეთის მშრომელმა ხალხმა არ მიიღო მონაწილეობა რევოლიუციონურ ბრძოლაში, ამიტომ გო-მინ-დანი ყოველმხრივ ხელს უწყობს და ეხმარება მუშათა მოძრაობას და გლეხების გათვითცნობიერებას და რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაყოლიებას.

გო-მინ-დანი მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს პარტიაში შემოსასვლელათ და რევოლიუციაში მონაწილეობის მისაღებათ; მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია დაამსხვრიოს უცხოელი იმპერიალისტებისა და მათთვის ჩინეთში ხელის შემწყობი გენერლების ბორკილები ჩინეთის განთავისუფლება—უწინარეს ყოვლისა, ჩინეთის მშრომელი ხალხის განთავისუფლება იქნება ამ თავისუფლების მოსაპოვებლათ ამზადებს და აწყობს გო მინ-დანი ჩინეთის მშრომელ ხალხს*).

---

*) ამ ჟამათ ეს მხოლოთ გომინდანის მემარცხენე რევოლიუციონურ ნაწილზე ითქმის. გომინდანის მემარჯვენე ნაწილმა უკვე უღალატა მშრომელ ხალხს და მისი მტრის ბანაკში გადავიდა.

ასეთია სამი მთავარი დებულება გო-მინ-დანის პროგრამაში.

საგარეო და შინაგანი პოლიტიკა

რა მოთხოვნებს აყენებს გო-მინ-დანი საგარეო და შინაგანი პოლიტიკის ხაზით?

ა) საგარეო პოლიტიკა.

ჩინეთის რევოლიუციის მთავარი მიზეზი ისაა, რომ თავი დააღწიონ უცხოელების ბატონობას. ამიტომ რევოლიუციამ უნდა მოსპოს ყველა ის საფუძველები, რაც ამაგრებს და აძლიერებს უცხოელების ბატონობას ჩინეთში.

1) უცხოელებს რომ ჰკითხოთ, ისინი აქ თითქოს ძალით არც კი შემოსულან. მართლაც, თვითეულ მათგან თვითეული ნაჭერი, საიჯარო ოთ აღებული მიწა, მაღარო, ხელწერილი ქაღალდის ძალით აქვთ დაფლობილი. ‘ამგრამ ვინ არ იცის, რომ არც ასე ძნელია ასეთი ქაღალდების ჩამორთმევა, იმ დროს, როდესაც ჩახმახზე შეყენებულ თოფს დაუმიზნებ მას, ვისგანაც დამზადებულ პირობაზე ხელის მოწერას მოითხოვ. ყველა ის ხელშეკრულებები, რომლებიც ჯიბეში უწყვიათ უცხოელებს სწორეთ ამ რიგათაა ჩამორთმეული. იქ ყველაფერი უცხოელების სასარგებლოთაა ჩაწერილი და არაფერი არაა ჩინელებისათვის გამოსადეგი.

გარდა ამისა, უცხოელები ჩინეთში საზოგადოთ განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან. ჩინეთის კანონი უცხოელებზე არ ვრცელდება. აქ თვითეულ ქვეყნის უცხოელს თავის ქვეყნის კანონი მოაქვს, მხოლოთ ამ კანონით სარგებლობს ის, ან ამ კანონის წინაშეა პასუხისმგებელი.

ჩინეთის რევოლიუციამ ეს უკულმართობა უნდა მოსპოს ერთხელ და სამუდამოთ. ჩინეთში, — ჩინეთის მიწა-

წყალზე — ჩინეთის კანონია ყველასათვის სავალდებულო, ვისაც არ მოსწონს ეს კანონები, მას შეუძლია ჩააწყოს თავისი ბარგი-ბარხანა და გზას გაუდგეს.

ჩინეთის რკინის გზის მართვა გამგეობა. ჩინეთის საბაჟოები უცხოელების ხელშია.

გომინდანი მოითხოვს ამ ძალადობის მოსპობას.

უცხოელების ხელშია მთელი ჩინეთის მრეწველობის მთავარი ძარღვი, ისინი მუქთად ისაკუთრებენ ჩინეთის მადანს, ყოველგვარ ნედლ მასალას; საამისო პირობები მათ ხელის-ძალათი აქვთ ჩამორთმეული ჩინეთის მთავრობისაგან.

გომინდანი მოითხოვს ამ პირობების გაბათილებას.

-- ვისაც სურს ჩინეთთან რაიმე სამრეწველო პირობების დადება, — კეთილ ინებოს და ხელახლა განაცხადოს სურვილი. პირობა და ხელშეკრულება მოლაპარაკების საქმეა მოვილაპარაკოთ, თუ შევთანხმდით, ხომ კარგი და თუ არა—გზა მშვიდობის — თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის, ასეთია გო-მინ-დანის მოთხოვნა.

2) გო-მინ-დანი პირობას იძლევა, რომ, ვინც თავის ნებით დაყაბულდება, ძალით და ჩამორთმეულ პირობების გაბათილებას, — მათ შემდეგ დანარჩენებთან შედარებით მეტი უპირატესობას მიანიჭებს.

3) ჩინეთს ბევრი ვალები მართებს. გო-მინ-დანი ამ ვალების გადახდაზე ხელაღებით უარს არ ამბობს.

— ვალებს გადაგიხდით, მხოლოდ ვალების გადახდა სულის ამოწვდათ არ უნდა გადაიქცეს. მობრძანდით ვნახოთ, გავეცნათ ჩვენს მდგომარეობას და გამოვიმუშავოთ ვალების გასტუმრების ისეთი წესი, რომ ჩინეთის ხალხს არსებობის და განვითარების გზა და საშუალება

არ მოესპოსო; — ასეთია გო-მინ-დანის განცხადება მოვალეებებთა საყურადღებოთ.

ამავე დროს გო-მინ-დანი აცხადებს, რომ ის ერთავად ხელს იღებს იმ ვალების გადახდაზე, რომელიც უცხოელებს მიუციათ ზოგ-ზოკიერთი გენერლებისათვის, რომლებიც დროებით და ისიც ძალადობით მოექცენ ხელისუფლებას სათავეში.

— მათი აღებული ფული ხალხის დარბევას და აწიოკებას ხმარდებოდა და ამ ფულის გადახდაზე ჩვენ ხელაღებით უარს ვამბობთო, აცხადებს გო-მინ-დანი.

ასეთია საგარეო პოლიტიკის მთავარი ხაზი; ეხლა

ბ) შინაგანი პოლიტიკა.

რევოლიუციამ მთელ ჩინეთს ერთი მთავრობის ხელში უნდა მოუყაროს თავი. ამიერიდან უნდა მოისპოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც თვითეული კუთხე მხოლოდ თავის თავს სცნობს და სხვას არავის. ჩინეთს ერთი მთავრობა ეყოლება. ცალ-ცალკე კუთხეები განაგებენ ი.ავიანთ საქმეებს, მაგრამ ის საქმეები, რომლებსაც საერთო სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს — ცენტრალური მთავრობის განმგებლობაში რჩება.

1) უნდა იქნეს განსაზღვრული და გამიჯნული, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობის უფლებები. ნუ ჩაერევა ცენტრი ადგილობრივ საქმეების წაძღოლაში, მაგრამ ნურც ადგილობრივი ხელისუფლება აიღებს თავის თავზე, რომ ისეთი საქმეები გადაწყვიტოს, რომლებიც მთელ სახელმწიფოს საერთო ინტერესებს ეხება — ასეთია გომინდანის მოთხოვნა ამ საკითხში.

2) თვითეულ ცალკე კუთხეს უფლება ეძლევა თავ-თავისათ შეიმუშავოს და იქონიოს თავისი ძირითადი კანონები — კონსტიტუცია, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ კონ-

სტიტუციაში არაფერი იქნას ისეთი შეტანილი, რაც საერთო სახელმწიფო კონსტიტუციას, დედა აზრს დაარღვევს. თვითეულ კუთხეს უფლება აქვს აირჩიოს და დაიყენოს თავისი კუთხის მმართველი — გუბერნატორი. გუბერნატორი თვალყურს ადევნებს ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობას და პასუხისმგებელია ცენტრალური მთავრობის წინაშე.

3) თვითმართველობის ძირითად ერთეულად ითვლება მაზრა.

4) საარჩევნო უფლება არის საყოველთაო. ყველა სრულწლოვან მოქალაქეს აქვს უფლება რომ აირჩიოს და თვითაც იქნეს არჩეული (მოქალაქის უფლების შესახებ იხ. აქვე გვერდი „51“ დემოკრატიზმი).

5) გათვალისწინებულია აგრეთვე საყოველთაო „**ხალხო კრება**“ მოწვევა და ამ კრების უფლებები. საზოგადოთ მთელი ხალხის ერთად თავის მოყრა წარმოუდგენელი რამაა. არამც თუ ჩინეთში სადაც 400 მილიონზე მეტი ხალხი ცხოვრობს, არამედ თუნდა ერთ რომელიმე ქალაქშიაც არ მოხერხდება მთელი ხალხის ერთად თავის მოყრა. არ მოხერხდება არც თავის მოყრა ერთ ალაგას, მით უმეტეს არ მოხერხდება ასეთ კრებაზე, რომელიმე რთული საკითხის გარჩევა და გადაწყვეტა.

ხალხო კრების მოწვევის უფლება გულისხმობს ისეთ გარემოებას, როდესაც მთელი სრულწლოვანი და მოქალაქის უფლებით აღჭურვილი მოსახლეობა გამოთქვამს თავის აზრს რომელიმე საკითხის შესახებ.

რა უფლებებით სარგებლობს ასეთი „კრება“ გო-მინდანის პროგრამის მიხედვით?

ა) მას უფლება აქვს წუნი დასდოს რომელიმე კანონს, არ მიიღოს ის და მით აკრძალოს მისი განხორციელება.

ბ) მას აქვს „თაოსნობის“ უფლება — ესე იგი თავისდათავათ, მას უფლება აქვს წამოაყენოს რომელიმე კანონი და, თუ, ვინიცობაა, ამ კანონს, უმრავლესობა მხარს დაუჭერს, მაშინ ის ძალაში შედის.

გ) „კრებას“ აქვს მთავრობის მოხელის გადაყენების უფლება.

6) სრული თავისუფლება კრების, კავშირის, სიტყვის, ბეჭდვის, რწმენის და ბინადრობის.

7) გარდა ამისა, არის ერთი მუხლი რომელიც ეხება **ჯარის ახალი წესით მოწყობას**.

ჯარში სამსახური ჩინეთში სავალდებულო არაა. იქ ჯარში მხოლოდ ის მსახურობს, ვისაც სურვილი აქვს, ჯარის კაცი იქ დაქირავებულია და ჯამაგირს ღებულობს. ჩინეთს დაქირავებული ჯარი ჰყავს. ამგვარი ჯარი ნაკლებათ გამოსადეგია. საჭიროა ჯარში სავალდებულო გაწვევის შემოღება.

ჩინეთის ჯარს, როგორც ყოველ ჯარს, ჰყავს ჯარისკაცი — სალდათი და ოფიცერები. სალდათმა რომ ბევრი არაფერი იცოდეს სამხედრო საქმის — ეს კიდევ წარმოსადგენია, მაგრამ იქ ხშირათ აფიცრებსაც არაფერი გაეგებათ ამ საქმის. გომინდანი ამ მხრითაც აპირებს ცვლილების შეტანას. აფიცერს გავლილი უნდა ჰქონდეს წინასწარ სამხედრო საქმის მომზადება და აფიცერათ მხოლოთ ისეთებს მიიღებენ, ვინც სამხედრო საქმის საკმაო ცოდნას გამოიჩენს.

მართალია, ჩინელი ჯარის კაცი ჯამაგირს ღებულობს, მაგრამ ეს ჯამაგირი იმხელაა, რომ ის სალდათს თავის გასატანათაც არ ჰყოფნის, ამიტომ ჩინელი სალდათი უფრო ძარცვა-გლეჯის იმედით ცხოვრობს. გომინდანის პროგრამით სალდათს არ ექნება ჯამაგირი, მაგრამ

სამაგიეროთ მას არ უნდა აკლდეს მოვლა და ყურადღება. ის არ უნდა იყოს აფიცერის ყურმოჭრილა მონა, მას უნდა ჰქონდეს საკმაო და საჭირო ტანფეხი, არ უნდა აკლდეს სასმელ-საჭმელი. მხოლოთ ასეთი ჯარი ივარგებს თავის მოვალეობის პირნათლად და შეგნებულად შესასრულებლათ.

არ შეიძლება რომ სალდათი წერა-კითხვის უცოდინარი დარჩეს, მაგრამ არც ის იკმარებს, თუ მას წერა-კითხვის მეტი, არაფერი ასწავლეს. სალდათების უმრავლესობა გლეხებია; სამსახურის გათავების შემდეგ ის ისევ სოფელს მიუბრუნდება ამიტომ მან უკვე ჯარში ყოფნის დროს უნდა შეიძინოს სოფლისათვის გამოსადეგი ცოდნა. მან შეძლების დაგვარად უნდა შეისწავლოს სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი, რომ უკან დაბრუნებისას თავსაც გამოიადგეს და სოფელსაც ასარგებლოს.

8) ჩინეთის საბაჟოები უცხოელების ხელშია. რევოლიუციის მიზანია უცხოელებს ხელი ააღებინოს ამ საქმიდან. საბაჟოები ჩინეთის მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს. საბაჟოების შემოსავალის გასაძლიერებლათ და აგრეთვე ჩინეთის მრეწველობის მოსალონიერებლათ გო მინ-დანს აზრათ აქვს ისეთი ბაჟების შემოღება, რომ უცხოეთიდან შემოზიდულმა საქონელმა არ დაჩაგროს ადგილობრივი ჩინეთის მრეწველობა.

გარდა ამისა, გო-მინ-დანს საჭიროთ მიაჩნია მრეწველობის მოსალონიერებლათ საგანგებო თანხების გამონახვა. აქ, სხვათა შორის, მთავრობას ისიც აქვს მიზნათ, რომ რაც შეიძლება შეამციროს უმუშევრობა. უმუშევრობა კი დღეს საშინელი უბედურებაა ჩინეთისათვის. უმუშევრები იმდენათ ბევრია ჩინეთში, რომ გამწარებული ხალხი

როცა სხვა სახსარს ველარ ჰპოვილობს პირდაპირ ტყეში მირბის და ყაჩაღობას იწყებს.

9) გო-მინ-დანს ჯერჯერობით არ მიაჩნია შესაძლებლათ მიწაზე გადასახადის მოსპობა —ჩინეთის ხაზინა ასეთ დანაკლის ვერ აიტანდა, სამაგიეროთ გო-მინ-დანს გადაწყვეტილი აქვს სასტიკათ და მკაცრათ განსაზღვროს მიწის გადასახადის რაოდენობა, დღეს კი გადასახადის შეწერა და აღება სრულებით უწესრიგოთ ხდება.

უნდა ამოეკვეთოს ფეხი სოფლის შუაკაცებს —მოიჯარადრეებს, რომლებიც მემამულეებისაგან ნაქირავებ მიწას შემდეგ გლეხებს ურიგებენ საზიაროთ საშინელ შევიწროებას აყენებენ გლეხკაცობას.

10) ჩინეთში თითქმის ყველა გზა-ჯვარედინზე შინაური საბაჟოა დაწესებული. სანამდე საქონელი მუშტრამდე მიაღწევდეს, ისე დამძიმდება ხოლმე ის ამ უთვალავი ბაჟებით, რომ მას მუშტარი ხელს ველარ ჰკიდებს.

გო-მინ-დანი სპობს ამ შინაურ საბაჟოებს.

11) ჩინეთი რომ ვეებერთელა ქვეყანაა, ყველამ ვიცით, ვიცით ისიც რომ იქ ბევრი ხალხი ცხოვრობს. დაახლოვებითი ანგარიშით იქ ხალხი 440 მილიონამდე უნდა იყოს. ზოგი ცოტა მეტს ანგარიშობს, ზოგი ნაკლებს, ნამდვილი კი არავინ იცის. არავინ არ იცის არც ის, თუ რამოდენი სახნავ-სათესათ გამოსადეგი მიწა-წყალის პატრონია ჩინეთი — უამისოთ კი შეუძლებელია სახელმწიფოს ხეირიანთ მოვლა და ხელმძღვანელობა. თუ არ იცი რამდენი ხალხი ცხოვრობს სახელმწიფოში, არ იცი არც ის, თუ რამდენი მიწა გაქვს ვარგისი და უვარგისი, აბა რა მეურნეობას მოაბამ უმისოთ თავს? ამიტომ გო-მინ-დანს საჭიროთ მიაჩნია ხალხის საყოველთაო აღწერის მოწყობა და სტატისტიკის საზოგადოთ მოწესრიგება.

12) მიწით სარგებლობის კანონის გამოცემა და მიწის გადასახადის განსაზღვრა. მიწის პატრონი ატყობინებს მთავრობას თავის მიწის ფასს და მთავრობა ან შეისყიდის ამ მიწას, ან და სტოვებს მას პატრონის საკუთრებათ, და თანაბარ გადასახადს ახდევინებს.

13) პროფესიონალური კავშირების აღდგენა და მუშათა კანონმდებლობის განხორციელება.

14) სრული გათანასწორება კანონის წინაშე მამაკაცისა და დედაკაცებს შორის. ხელის შეწყობა ქალთა განვითარებისათვის.

15) საყოველთაო სწავლება. სკოლებში სწავლებისა და სასწავლო საგნების შეცვლა. ყველა იმ საშუალებათა, რომლებიც საჭირო და გამოსადეგია სწავლის საქმისათვის, სახელმწიფოსათვის გადაცემა.

ასეთია გომინდანის ახალი პროგრამა და მისი ძირითადი დებულებანი 1924 წლის ყრილობის შემდეგ.

რა ცვლილება და განსხვავებაა ძველსა და ახალს შორის? მართალია აქაც დარჩა სუნიატსენის ცნობილი სან-მინ-ჯუ (სამი მცნება, ნაციონალიზმი დემოკრატიზმი და სოციალიზმი), მაგრამ მან აქ პრაქტიკულათ განსახორციელებელი მოთხოვნების სახე მიიღო.

უწინდელი სამი მცნება, ეს უფრო განყენებული პოლიტიკურ აგიტაციისათვის გამოსადეგი მასალა იყო. ერთ ხანს, თავდაპირველად გომინდანელებს ეგონათ, რომ ასეთი ქადაგებით უფრო ადვილი იყო რევოლიუციის განხორციელება. გამოცდილებამ და დამარცხების მწარე გაკვეთილებმა მათ ჭკუა ასწავლა და დაანახვა, რომ იმ პარტიას, რომელიც რევოლიუციის სათავეში აპირებს ჩადგომას, ბევრი რამ მოეკითხება. როგორც სუნ-იატ-სენი, ისე გო მინ-დანის სხვა ბელადებიც მიხვდენ, რომ ბრძო-

შანხაის მუშების ერთ ერთი მიტინგი ჩაპეიში.

ლაში მონაწილეობის მიღებისათვის უბრალო შემოპატიჟება კი არ კმარა, არც ქადაგება და წაქეზება გაგივა: არამედ საჭიროა, რომ ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებ კლასებს და ჯგუფებს რევოლიუციის გამარჯვებამ რაიმე არსებითი, ამ კლასებისა და ამ ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებელი პირობები მისცეს. იყო დრო, როდესაც სუნ-იატ-სენის გარშემო თავს იყრიდა პატარა, სამშობლოს განთავისუფლების აზრით, გატაცებული თავგანწირულთა ჯგუფი, მაგრამ ასეთების რიცხვი ყოველთვის ცოტაა, მათი შემწეობით რევოლიუციის მოხდენა შეუძლებელია.

რევოლიუციის ამოძრავება, რევოლიუციისთვის გამარჯვების მინიჭება, მხოლოთ მასას შეუძლია, ხოლო მასისთვის საჭიროა მტკიცე ხაზი, განსაზღვრული გზა და შეგნება იმის, რომ ტყუილა არ ჩაუვლის ეს თავის გამეტება, რომ ბრძოლა თუ პირადათ მას არა, იმ კლასს მაინც რომელსაც ის ეკუთვნის, სარგებლობას მოუტანს.

პარტიის პროგრამის ჩამოყალიბებამ ნათლად და აშკარათ გამოაჩინა გო-მინ-დანის სახე, მაგრამ ამასთან ერთად გამოჩნდა თავისი სიგრძე-სიგანით მთელი ის სიძნელე, რომელიც წინ ეღობება გომინდანის რიგებში დარაზმულ ძალების მთლიანობის შენახვას.

ჩვენ უკვე შევეხეთ იმას, თუ ვინ, რომელი კლასი, რა განზრახვითა და რა მიზნით მიდის, თუ მიდიოდა გო-მინ-დანში.

რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ პარტიაში იმთავითვე გამოჩნდა **მემარჯვნე** და **მემარცხნე** ნაწილი. ასეთი დაყოფა პირობითია. უეჭველია ერთი რამ: მუშები და გლეხები უსათუოდ გო-მინ-დანის მარცხენა ნაწილს შეადგენენ, ამასთანავე საჭიროა მისი აღნიშვნაც, რომ

ჯერ-ჯერობით გლეხების ნაწილი გო-მინ-დანში არც ისე დიდია.

უეჭველია ისიც, რომ მსხვილი ბურჟუაზია უსათუოდ გო-მინ-დანის მემარჯვენე ნაწილს შეადგენს. დანარჩენები კი ორთა შუა არიან. წვრილი ბურჟუაზია უფრო მემარცხენეებისაკენ მიიწევს. საშუალო მემარჯვენეებისაკენ, მაგრამ ეს სურათი, ასეთი ძალთა განწყობილება სრულებით და სავსებით არ არის მაინცა და მაინც დაცული. არის წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი, რომელიც მემარჯვენეებისაკენ მიდის, არის საშუალო ბურჟუაზიის ნაწილი, რომელიც მემარცხენეებისაკენ მიილტვის. ერთავათ ამას ხელს უწყობს ამ სოციალურ ჯგუფების პოლიტიკური ჩამორჩენილება, თუმცა არის შემთხვევები, როცა ასეთი დანაწილება სხვადასხვა რთული პირობებისაგან არის გამოწვეული.

შეიძლება, მაგალითად მემარჯვენეების მხარეზე ნახოთ მეწვრილმალე ვაჭარი, ღარიბი ხელოსანი. რატომ? თუნდა იმიტომაც რომ, ის სრულებით არ აპირებს თავის საკუთარ ავლადიდებაზე (თუმცა მისი ავლადიდება კერდღელს რომ აჭკიდო —მოერევა) ხელის აღებას, ხოლო მემარცხენეები სწორეთ იქ უსვამენ ხაზს გო-მინ-დანის პროგრამას სადაც სოციალიზმის განხორციელებაა მოთავსებული.

ავათ იყო, თუ კარგათ, სანამ გო-მინ-დანი საბრძოლველად ძალებს ჰკრეფდა და ემზადებოდა იმდენათ არ ჩნდა მემარჯვენეებისადა მემარცხენეების მიზნებისა და მისწრაფებების სხვადასხვაობა. ამ გარემოებამ უფრო აშკარათ იჩინა თავი მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სამხრეთ ჩინეთში დაგროვებული ძალები გო მინ-დანმა ჩრდილო ჩინეთში გამაგრებულ მილიტარისტების წინააღმდეგ წამოიყვანა.

ჩრდილოეთისაკენ გალაშქრება და ჩან-კაი-შის ღალატი

ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1911 წლის რევოლიუციამ თუმცა გაიმარჯვა, მეფის მთავრობა თუმცაღა, მართალია, მოისპო, მაგრამ რესპუბლიკის დაარსება და განმტკიცება მაინც არ მოხერხდა.

ჩინეთის ბურჟუაზიას, რომელიც უნდა ჩადგომოდა სახელმწიფოს სათავეში, არ გამოაჩნდა საამისოთ არც ძალა, არც მომზადება და არც შეგნება. იუნ-ში-კაის სიკვდილის შემდეგ თავდაპირველად ხელისუფლების სათავეში მოექცენ ძველი დროის მომხრე ჩინოვნიკები (დუ-ბანები, დუ-ძიუნები), რომლებსაც თანდათანობით უცხოელი კაპიტალისტები წამოეშველენ.

უცხოელებისათვის სრულებით არ იყო არც საჭირო და არც სასარგებლო ჩინეთის ბურჟუაზიის განვითარება და მოღონიერება. მათთვის (უცხოელი კაპიტალისტებისათვის) ბევრათ უმჯობესი იყო, რომ მეფის ტახტის დანგრევის შემდეგ **„კანონიერი მემკვიდრე“** არ გამოჩენილიყო და, თუ ვინცობაა, გამოჩნდებოდა, როგორმე მას არაფერი რგებოდა წილათ. ეს მოვალეობა: „კანონიერი მემკვიდრის“ მოგერიება იკისრეს იმ სხვა და სხვა კუთხის მმართველებმა, რომლებიც ახალი წესწყობილებიდან კეთილსა და სასიამოვნოს თავისათვის არაფერს გამოელოდენ. დატრიალდენ უცხოელი კაპიტალისტების დალალები და შუაკაცები. ბევრი ხვეწნა და პატიჟი თითქმის არავის არ დაჭირვებია, თვითეული გენერალი მზათ იყო „იაფათ და ნისიათ“ გაეწია თვითეული კაპიტალისტური სახელმწიფოსათვის ის სამსახური, რომელსაც ისინი დაისაჭიროებდენ. ამრიგათ ყველა სახელმწიფოებმა ამა თუ

იმ გენერლის კალთას ამოაფარა თავი და შეუდგა „მუშაობას“. ამ „მუშაობას“, რასაკვირველია, თავისი შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

რევოლიუციის შემდეგ ჩინეთში იზრდება და ვითარდება მრეწველობა და წარმოება—ეს წარმოება, ეს მრეწველობა თითქმის ერთავად უცხოელების ხელშია. ჩინელებს აქ წილი ან სრულებით არ უდევთ, ან და ერთობ მცირე და უმნიშვნელო. გარდა ამისა, ემჩნევა, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოები ცალ-ცალკე კუთხეებში იყრიან თავს. თვითეული კაპიტალისტური სახელმწიფო, უმთავრესად იქ მუშაობს, სადაც მას „თავისი“ გენერალი ჰყავს აჩენილი.

რასაკვირველია, თვითეული ქვეყნის მტაცებელს უნდა საუკეთესო, უფრო დიდი და უფრო მსუქანი ლუკმა ჩაიგდოს ხელში. ამიტომ ის აქეზებს „თავის გენერალს“, რომ ის მის მოპირდაპირე და მოქიშპე სახელმწიფოს მომხრე გენერალს წაეკიდოს და როგორმე ხელიდან გამოსტაცოს მას მისი საშფლობელო.

ამრიგად ინასკვება და იხლართება ათასგვარი კვანძები, რომლის თავისა და ბოლოს მონახვა ერთობ ძნელია. კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლები წელზე ფეხს იდგამენ, რომ როგორმე თავიანთ მოწინააღმდეგეს მოპირდაპირეს კისერი მოსტეხონ, ამიტომ ისინი მუდამ უმატებენ ცეცხლს სამოქალაქო ომის კოცონს. რაც უფრო გაღრმავდება ეს ომი, მით უფრო დასუსტდება ერთიცა. და მეორე მხარეც, მით უფრო ადვილი იქნება აქ ფეხის მომაგრება და ხმა-შეუბრუნებელი ბატონის ადგილის დამკვიდრება.

ამ დროს ჩინეთის ბურჟუაზია მაინც არ სთვლის თავის საქმეს წაგებულად. ის თავს იყრის სუნ-იატ-სენის დროშის გარშემო.

ჩვენ გვინდა იმ ხელშეკრულებების გაბათილება, რომლებიც ხელისძალათი გამოგვტაცეს უცხოელებმა!

ჩვენ მოვითხოვთ ახალი ხელშეკრულებების დადებას!

ჩვენ მოვითხოვთ, რომ უცხოელი კაპიტალისტები მხოლოთ ისეთ საქმეებში ღებულობდენ მონაწილეობას რომ მათ ჩინეთის საარსებო გზის მოკვრის საშუალება არ ჰქონდეთ!

აი, ამას მოითხოვს ჩინეთის ბურჟუაზია, ამ მოთხოვნილებას აყენებს ის ყველაფერზე წინ.

—ჩინეთი ჩვენ ჩინელ ბურჟუაზიას დაგვანებეთ თქვენ კი, უცხოელებო, თუ ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებს დაგვიდებთ, შეიძლება შეგიამხანაგოთ და თქვენც მოგცეთ ხეირი, ჩინელი მუშების ნაოფლარიდანო. აი, ასეთია ამ მოთხოვნილების დედა-აზრი, უფრო აშკარათ და ღიათ გამოთქმული.

უცხოეთის კაპიტალისტებისათვის ასეთი წინადადება გლახა გასაგონი იყო. ეს ხომ მათთვის სანახევროთ მაინც ჩინეთიდან ფეხის ამოკვეთას ნიშნავდა.

ეს დავა, იარაღს უნდა გადაეწყვიტა, ძალას ძალა უნდა დატაკებოდა. ჩინეთის ბურჟუაზიაც შეუდგა სამზადისს. შეიძლება ჩინეთის ბურჟუაზიას, როგორც მთელ კლასს, ხეირიანათ არ ჰქონდა გათვალისწინებული თავისი მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაც არ ჰქონდა მიგნებული, მაგრამ ჩინეთის ბურჟუაზიის მოწინავე ნაწილი აშკარად ატყობდა, რომ სხვა გამოსავალი არსად იყო, რომ საჭირო იყო ბრძოლა, როგორც უცხოელების წინააღმდეგ, ის ამ უცხოელების მოჯამაგირეების სხვადასხვა კუთხეებში გამაგრებულ გენერლებთან.

აშკარაა, რომ თვითეული მხარე, სანამ ბრძოლას დაიწყებდეს, ჯერ თავის მომხრეებს ეძებს, ძალას უყრის თავს

და მხოლოდ ასეთი თავდარიგის შემდეგ გამოდის საომ-
რათ. აი, ამ გარემოებამ მიიყვანა ჩინეთის ბურჟუაზია
სუნ-იატ-სენთან, რომელიც გუან-დუნის კუთხეში გამაგრდა
და აქედან აპირობდა ბრძოლის დაწყებას რესპუბლიკის
აღსადგენათ.

არა აქვს არავითარი არსებითი მნიშვნელობა იმის
გამორკვევას, თუ ვინ იყო სუნ-იატ-სენის ბანაკში მიმს-
ვლელი და დამხვედური, ვინ უფრო ადრე მივიდა და ვინ
შემდეგ შემოემატა მას. საინტერესოა და საჭიროა მხო-
ლოთ იმის გაგება, რომ უცხოელების წინააღმდეგ გან-
წყობილ ძალებს ჰქონდათ თავშესაფარი და სამზადისის
დასაწყებად საჭირო ადგილი—ეს იყო გუან-დუნის კუთხე,
ეს იყო ამ კუთხის მთავარი ქალაქი კანტონი. აქ
იყო გო-მინ-დანი, რომელიც ხელახლა სინჯავდა თავის
ძველ პროგრამას, სცდილობდა მოენახა ამ პროგრამის
სუსტი მხარეები და იმის გამოსასწორებლათ საჭირო ზო-
მები მიეღო.

ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ პარტიამ 1924 წ.
საბოლოოთ გადასინჯა თავისი პროგრამა, და ამ პროგ-
რამის მუხლები ისეთი შინაარსით შემოსა, რომ ჩინეთის
მშრომელ ხალხისათვის, ხელსაყრელი ყოფილიყო გო-მინ-
დანთან ყოფნა და მის დროშის ქვეშ ბრძოლა. მართლაც
გო-მინ-დანის დროშის ქვეშ დგება ყველა, ვისაც სძულს
უცხოელების ბატონობა, ვისაც უნდა, რომ ჩინეთს მომა-
ვალ განვითარებისაკენ გზა გაუხსნას.

გო-მინ-დანისკენ მოდის ბურჟუაზია, აქვე არის გლეხ-
კაცობის შეგნებული ნაწილი, გო-მინ-დანში შემოდის
მუშები.

აქ საჭიროა ერთი გარემოების აღნიშვნა. მუშები მო-
ნაწილეობას ღებულობენ გო-მინ-დანში, მაგრამ ისინი

მთელ თავიანთ მოთხოვნებს, მთელ თავიანთ საბრძოლველ პროგრამას გო-მინ-დანის ფარგლებში ვერ ჩაატევენ, ამიტომ მათ აქვთ თავიანთი საკუთარი პარტია — **ჩინეთის კომუნისტური პარტია** *).

სანამ ჩინეთი ხელ-ფეხ შეკრულია უცხოელების ძალმომრეობით, ჩინეთის მუშები და ჩინეთის კომუნისტური პარტია საჭიროთ სთვლის გო-მინ-დანში მონაწილეობის მიღებას, მასთან ერთად ბრძოლას. ჩინეთის მუშების მოწინავე ნაწილმა, იმ ნაწილმა, რომელიც ჩინეთის კომუნისტურ პარტიის რიგებშია თავმოყრილი, ჩინებულათ იცის, რომ ბურჟუაზიის მხრივ მოსალოდნელია ღალატი და ბრძოლის ველიდან გაქცევა. შესაძლებელია ჩინეთის ბურჟუაზიამ (მსხვილი, საშუალო და წვრილი) მოინდომოს თავის მორიდება და რევოლიუციონური გზით სიარულის შუაგზაზე შეჩერება. შესაძლებელია და მოსალოდნელი, რომ მან შეთანხმება-მოლაპარაკება და მიხვეულ-მოხვეულ ბილიკების მოძებნა არჩიოს. ამიტომ ჩინეთის კომუნისტური პარტიას, რომელიც დღეს რევოლიუციის მოწინავე რაზმებში იბრძვის, თავდაპირველათ საერთო რევოლიუციონური მიზნის განსახორციელებლათ, ფხიზლათ უჭირავს თვალი და სცდილობს, რომ ბურჟუაზიას არ მისცეს ბრძოლიდან გაქცევის საშუალება. კომუნისტური პარტია უჩვენებს და ურჩევს გო-მინ-დანს სწორ რევოლიუციონურ გზას და მოიხმობს მის მებრძოლ ძალებს ამ გზისაკენ.

---

*) ჩინეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულათ ჩამოყალიბება მოხდა 1920 წელს. მანამდე არსებობდა ცალ-ცალკე პატარ-პატარა ჯგუფები. ამ ჟამათ ჩინეთის კომ. პარტიას 30,000 წევრი ჰყავს ეს რიცხვი არც ისე დიდია ოცხას მილიონიან ჩინეთისათვის, მაგრამ ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენა მეტათ საგრძნობია როგორც გო-მინ-დანში ისე' მეტადრე, მუშათა ორგანიზაციებში.

თუ, ვინ-ცობაა, ის შეატყობს, რომ გო-მინ-დანის ბანაკში მებრძოლი ძალების რომელიმე ნაწილი განზე გადგომას, ან და მტრის შერიგებას და მათ მხარეზე გადასვლას აპირობს, ის წინასწარ აფრთხილებს დანარჩენ მებრძოლთ და საჭირო ზომებს ღებულობს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლათ. ამგვარია ის ბანაკი, რომელიც კანტონში ირაზმება და ჩრდილო ჩინეთისაკენ აპირებს გალაშქრებას. საჭიროა ბრძოლა, ბრძოლისათვის საჭიროა ძალა. იმპერიალისტების ფულით დაქრთამულ გენერლებს ჰყავთ ჯარი, აქვთ იარაღი, იარაღის წინააღმდეგ იარაღითვე შეიძლება ლაპარაკი, ძალას ძალა უნდა დაუბირდაპირო.

კანტონის მთავრობა გო-მინ-დანის ხელმძღვანელობით იწყებს ჯარის მოწყობას და სამხედრო საქმეებისათვის საჭირო თავდარიგს.

ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ ჩინეთში არ არსებობს სავალდებულო სამხედრო ბეგარა, ჯარში აქ კი არ იწვევენ, არამედ თავს უყრიან მსურველებს. ჯარის-კაცებს ჯამაგირს აძლევენ, ჩინეთს დაქირავებული ჯარი ჰყავს.

კანტონის მთავრობისათვის აშკარა იყო ასეთი ჯარის სუსტი მხარეები, მაგრამ სხვა გზა და საშუალება არ იყო და კანტონის მთავრობაც შეუდგა ჯარში მოხალისე-მეომრების დაქირავებას. ამასთანავე გო-მინ-დანი თავიდანვე ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ ჯარის გამარჯვება სხვათა შორის დამოკიდებულია, ამ ჯარის პოლიტიკური შეგნებასა და მომზადებაზე.

მძიმე პირობებში მოუხდა კანტონის მთავრობას მუშაობა. თვით გუნ-დუნის კუთხეშიდაც არ იყო საქმე ისე კარგად დაყენებული, რომ უცხოელების მიერ შეჩენილ ხალხს ვერ მოეხერხებია აქ წყლის ამღვრევა. უცხოელები ხშირათ

შოულობდენ ფულის მოყვარულ არამზადებს, რომლებიც პირდებოდენ და კიდევაც ახერხებდენ თვით გუან-დუნის სხვადასხვა ადგილას აჯანყებების მოწყობას. ყოველივე ეს ხელს უშლიდა კანტონის მთავრობის ნაყოფიერ მუშაობას.

მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა და მზადება არ შეჩერებულა.

ბოლოს კანტონის მთავრობამ გადასწყვიტა ბრძოლის დაწყება და ჩრდილოეთისაკენ გაემართა 76,000 შეიარაღებული და საკმაოთ გაწრთვნილი მეომარებით, გენერალ ჩან-კაი-შის მეთაურობით.

ამის შემდეგ რაც მოხდა ამაზე შეჩერება არ ღირს; საჭიროა მხოლოდ იმის თქმა, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში კანტონის ჯარმა დაიკავა ჩინეთის თითქმის ნახევარი ნაწილი. იმპერიალისტების მდგომარეობა დღითი-დღე უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. ბოლოს კანტონის ჯარებმა აიღეს **შანხაი**; აიღეს **ნანკინი** და კანტონის ჯარები უკვე პეკინისაკენ მიემართებოდა.

აი, ამ დროს მოხდა ერთი შეხედვით რაღაც თითქოს მოულოდნელი და უეცარი ამბავი. ჩინეთიდან მოსულ ამბებში ამოვიკითხეთ, რომ კანტონის ჯარის მთავარ-სარდალი ჩან-კაი-ში გო-მინ-დანის ბანაკს გამოეთიშა და აშკარათ გადავიდა რევოლიუციის მტრების მხარესო.

ეს ამბავი სავსებით დაადასტურა ჩან-კაი-შის შემდეგმა სამარცხვინო საქციელმა. მან რამოდენიმე ალაგს, სხვათა შორის თვით **შანხაიში** მუშებს ჯარი მიუსია და ქუჩები, იმ ქალაქის, რომელიც თვით მუშებმა გამოსტაცეს ხელიდან ჩინეთის რევოლიუციის მტრებს, მუშების სისხლით შელება. ზოგს ასე ჰგონია, თითქოს ის, რაც ჩან-კაი-შიმ ჩაიდინა პირადათ ამ გენერალის თაოსნობით მომხდარიყოს; ასე ზერელეთ ამ ამბავის ახსნა წარმოუდგენელია,

ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩან-კაი-შის ღალატს არც ისეთი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ჩან-კაი-შის მოქმედებას უფრო ღრმა საფუძვლები აქვს და ყოველივე ის, რაც მან ჩაიდინა თვით გო-მინ დანის რიგებში თავმოყრილ ძალთა ერთი ნაწილის სულისკვეთების და განზრახვების გამოაშკარავება და განხორციელებაა.

ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა და რა კლასები, ჩინეთის ხალხის რა და რა ნაწილი იყრიდა თავს გო-მინ-დანში. ვიცით ისიც, თუ ვინ რა განზრახვით რა მიზნის და მისწრაფების განსახორციელებლათ შემოვიდა გო-მინ-დანში. აშკარაა რომ ამ სულ სხვა და სხვა ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე კლასების წარმომადგენლების დიდხანს ერთად ყოფნა და ერთად ბრძოლა შეუძლებელი იყო.

უნდა დამდგარიყო დრო, როდესაც ეს ძალები უნდა გათიშულიყო და კიდევაც გაითიშებოდა. მაგრამ გო-მინ-დანის არც ერთ ნაწილისათვის, არც მემარჯვენეებისათვის და არც მემარცხენეებისათვის არ იყო ხელსაყრელი ამ კავშირის დაშლის დაჩქარება.

ეს მაინც მოხდა.

გო-მინ დანის მთლიანი რიგები დაიშალა. იმპერიალისტების წინააღმდეგ მებრძოლთა ერთი წყება მტრების მხარეზე გადავიდა და მათთან ერთათ მოაქვს იერიში მათ წინაღმდეგ, ვინც განაგრძობს ბრძოლას ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის.

რატომ მოხდა ეს? სად ვეძიოთ ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები?

როდესაც ჩინეთის რევოლიუციის ისტორიას გადავავლებთ თვალს, უსათუოთ შენიშნავთ, რომ კანტონის მიერ დაწყებულმა ბრძოლამ უკვე გამოიარა ორი ძირითადი ხანა.

პირველი ხანა — ეს ის დროა, როდესაც კანტონის ჯარმა მტერს ომი გამოუცხადა. სულ მცირე დროის განმავლობაში კანტონის ჯარმა თავის მოწინააღმდეგეებს ხელი ააღებინა მრავალ ქალაქებზე და დაიფლო ბევრი ისეთი კუთხეები, სადაც უცხოელების მოსამსახურე გენერლები იყვნენ გამაგრებულნი.

ამ დროს კანტონის ბანაკი სავსებით მთლიანი იყო. ის ერთპირათ აწვებოდა მტრებს და სულმოუთქმელათ მიერეკებოდა მას, მაგრამ იყო თუ არა ამ დროს ჩინეთის რევოლიუციის ბანაკში რაიმე აზრთა სხვა და სხვაობა და უთანხმოება? იყო, რასაკვირველია გო-მინ-დანის რიგებში დაჯგუფებული კლასების ინტერესების სხვადასხვაობა იმთავითვე აჩენდა ერთგვარ ეკვალს კანტონის მთავრობის მუშაობას. გენერალი ჩან-კაი-ში, რომელიც უსათუოთ გამოხატავს გომინ-დანის მემარჯვენე ნაწილი სულისკვეთებას, ჯერ კიდევ შარშან თებერვალში აპირობდა გო-მინ-დანიდან კომუნისტების გაძევებას.

რატომ, რას ერჩოდა ის კომუნისტებს?

ჩინეთის ბურჟუაზია დაინტერესებულია იმპერიალისტების მომხრე და მოსამსახურე გენერლები გამორეკოს თავ-თავიანთი ბუნაგებიდან. ჩინეთის ბურჟუაზია დაინტერესებულია, რომ, რაც შეიძლება მალე ჩაიგდოს ხელში ჩინეთის მიწა-წყალი, მაგრამ მისთვის, ის სჯობს, რომ, როდესაც ის სრულ გამარჯვებას ჩაიგდებს ხელში, მაშინ მას დღევანდელი მისი მოკავშირეები, მუშები და გლეხები „სვინდისზე შეაგდებდეს“ და მოთმინებით დაუწყებდეს მოლოდინს მანამ, სანამ ჩინეთის ბურჟუაზია მათთვის რამეს გაიმეტებდეს.

მაგრამ, თუ საქმე ასე არ წავიდა და, თუ ბურჟუაზიამ ამთავითვე შეიტყო, რომ მუშები და გლეხები სრულები-

თაც არ მოიმდომებენ ბურჟუაზიის მოწყალების მოლოდინის იმედით დარჩენას, მაშინ ის არჩევანს ვერც ისე ჩქარა გადასწყვეტს. მაშინ ის კიდევ იფიქრებს და, ვინ იცის, იქნებ ეხლავე არჩიოს თავის გუშინდელ მოკავშირესაგან ჩამოშორება.

მან საკმარისათ დაიხმარა და გამოიყენა ეს მოკავშირეები, და თუ ამის შემდეგ ისინი აღარ მოისურვებენ ბურჟუაზიის საქმეების გასაკეთებლათ ღადარში ხელის შეყოფას, მით უარესი მათთვის, ბურჟუაზია მათთვის ტყვიას არ დაიშურებს.

მართალია, ის მტერი, რომელსაც ის მუშებთან და გლეხებთან ერთად-ერთ რაზმში და ერთ რიგში ჩამდგარი ებრძოდა, ჯერ კიდევ დაუმარცხებელია, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ამ მტერთან ეხლა, იქნებ, უფრო ადვილი იქნეს მოლაპარაკება და შეთანხმება და მეორე მას (ბურჟუაზიას) დათმობაც რომ დასჭირდეს, ეს მისთვის უფრო ადვილი შესასრულებელი და უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე დღევანდელ მოკავშირეებთან ხვალინდელი გამარჯვების ნადავლის გაყოფა.

რაც დრო მიდის, რევოლიუციის მსვლელობით გამოღვიძებული მშრომელი ხალხი ამაგრებს თავის ორგანიზაციებს. იღვიძებს და დღესვე მოითხოვს თავის დუხჭირ ცხოვრების პირობების გაუმჯობესობას; ჩინელი მუშა, ჩინელი გლეხი. განა უფრო ძნელი და უფრო მძიმე არ იქნება ჩინეთის ბურჟუაზიისათვის ბრძოლა მაშინ, როდესაც ეს მრავალ მილიონიანი გლეხკაცობა პოლიტიკურ ორგანიზაციებს მოაწყობს და ფეხმოუცვლელათ ითხოვს ჩინეთის მომავალ მთავრობას თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას? მაშინ არამც თუ მოსალოდნელი, არამედ აუცილებელი შეიქნება ასეთი მთავრობის გადაყირავება და

მუშურ-გლეხური მთავრობის დაარსება. ეს ხომ ბურჟუაზიის აღსასრულის დღის გათენებაა. არა, ჩინეთის ბურჟუაზიას არ უნდა ასეთი მოლოდინით ბრძოლის გაგრძელება. ის გადადის ბრძოლის ველის მეორე მხარეზე და მშრომელ ხალხს ჩან-კაი-შის პირით ასეთ მოსაკითხს უგზავნის.

—მე შენ უკვე გაგაკეთებიე, რაც ჩემთვის საჭირო იყო, ამიერიდან ჩვენ ერთად არაფერი გვესაქმება. მე ახალი მოკავშირეები მყავს. შენი შემწეობით მე მივაღწიე იმ მდგომარეობას, რომ ისინი, ვინც გუშინ ჩემთან ლაპარაკსაც არ კადრულობდა, დღეს აღტაცებით მიმიღებს და გულში ჩამიხუტებს. მე მასთან ჩქარა მოვნახავ შეთანხმების საშუალებას და ამიერიდან ჩვენ — მე და ჩემი ახალი მოკავშირეები — ერთათ დაგესხმებით თავზეო!

ჩან-კაი-ში წავიდა გო-მინ-დანის რიგებიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ გო-მინ-დანის მემარჯვენე ნაწილი — ჩინეთის ბურჟუაზია (მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო) რევოლიუციის წინსვლას ყოველმხრივ ხელს შეუშლის და რევოლიუციის წინააღმდეგ იბრძოლებენ. მაგრამ გო-მინ-დანი ხომ მაინც არ დანგრეულა. გო-მინ-დანის დიდ უმრავლესობა მემარცხენეების მხარესაა. სუნ-იატ-სენის ანდერძის შესრულებას გო-მინ-დანი თავს არ დაანებებს.

ვერც საშუალო ბურჟუაზიის დიდი ნაწილი, ვერც წვრილი ბურჟუაზია, მით უმეტეს ვერც გლეხკაცობა რევოლიუციის შუა გზაზე მიტვევებას ვერ შეურიგდება. ზედმეტია მუშების შესახებ ლაპარაკი, ჩინეთის ეროვნული განთავისუფლების საქმის გამარჯვებით დათავებამდე შეუძლებელიც კი არის ფიქრი იმის შესახებ, რომ ჩინეთის პროლეტარიატი შესძლებს თავისი ძირითადი მიზნების განხორციელებისათვის უშუალო მუშაობის გაღვივებას.

სანამ ის ამ მიზანს მიაღწევდეს, მან უნდა გაიაროს ბურჟუაზიულ დემოკრატიული წესწყობილების საფეხური. ის რასაკვირველია ეცდება, რომ ამ საფეხურზე მას დიდ-ხანს ცდა და ლოდინი არ დასჭირდეს, მაგრამ ის ვერ იფიქრებს და არც იფიქრებს ამ საფეხურზე გადახტომას. მაშასადამე ბრძოლა გრძელდება, თუმცა მებრძოლ ძალთა შორის ერთგვარი გადაჯგუფება მოხდა. აქ თავდება პირველი ხანა და იწყება

ჩინეთის რევოლიუციის მეორე ხანა

როგორია მდგომარეობა ბურჟუაზიის ღალატის შემდეგ? ჩინეთის ბურჟუაზიამ იშოვა თავისი ბელადი და მეთაური, რომელიც თავს უყრის რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. სამხრეთ ჩინეთის (კანტონის) ბანაკი ორათაა გაყოფილი. ერთი რევოლიუციის მხარეზეა და სცდილობს ბრძოლის გაგრძელებას, მეორე რევოლიუციის წინააღმდეგ ირაზმება და სცდილობს რომ რევოლიუციის ქარიშხალი ჩააქროს. ამ ორ ბანაკს, ორი სხვა და სხვა ორგანიზაცია ხელმძღვანელობს. ერთია კანტონის მთავრობა, ის დღეს უხანშია, ესაა გო-მინ-დანის რევოლიუციონური მთავრობა. მეორე ნანკინშია დაბინავებული, მას ჩან-კაი-ში ხელმძღვანელობს. როგორი ძალთა განაწილებაა ამ ორ ბანაკს შორის?

რევოლიუციის მხარეზეა ჩინეთის **მუშები, გლეხები** და **წვრილი** და **საშუალო ბურჟუაზიის** ერთი ნაწილი, რევოლიუციის წინააღმდეგ კი დარაზმულია ჩინეთის მსხვილი ბურჟუაზია და მიწისფლობელები, მათთანაა ნაწილი საშუალო ბურჟუაზიის. ისინი მზათ არიან დაუმეგობრდენ იმპერიალისტებს და მათ მეგობრებს.

საკმარისია ამ ძალთა განაწილების ზერელეთ თვალის გადავლებაც, რომ ადვილათ მიხვდე, თუ რას მოასწავებს ის?

უეჭველია, რომ რაც დრო გავა, ბრძოლა უფრო და უფრო გამწვავდება, ის თანდათან უფრო მკაცრსა და სასტიკ სახეს მიიღებს. დაწყებული რევოლიუციონური ბრძოლის დაბოლოვება ჩვენ ასე შეგვიძლია წარმოკიდგინოთ.

1) ან ნაციონალური ბურჟუაზია მოახერხებს პროლეტარიატის მორევას და მაშინ ის გამონახავს მსოფლიო იმპერიალისტებთან შეთანხმების საშუალებას და იმპერიალისტებთან ერთად წამოვა რევოლიუციის წინააღმდეგ კაპიტალისტებისათვის საჭირო და სასარგებლო წესწყობილების დასამყარებლათ.

ჯერ კიდევ ნაადრევია იმის თქმა, თუ როგორი იქნება ეს შეთანხმება, თუნდა, კიდევაც რომ მოახერხოს ჩინეთის ბურჟუაზიამ ჩინეთის მშრომელი ხალხის დამარცხება და რევოლიუციის განვითარებისათვის დროებით გზის მოჭრა. კაპიტალისტებს ადვილათ შეუძლიათ მისცენ დაპირება, მაგრამ ვინღა აიძულებს მათ ამ შეპირების ასრულებას მაშინ, როდესაც რევოლიუციის შიში თავიდან მოცილებული იქნება? აშკარაა, რომ მაშინ ჩინეთის ბურჟუაზიას ისევ ის გატეხილი გობი დახვდება სახლში, რომელსაც ის მუდამ წუნობდა.

2) შესაძლებელია და მოსალოდნელია სხვაგვარი დაბოლოვებაც. შესაძლებელია, რომ პროლეტარიატი გლეხკაცებისა და წვრილი ბურჟუაზიის დახმარებით მოახერხებს ბურჟუაზიის განაპირებას. ამ შემთხვევაში რევოლიუციის ბრძოლის სათავეში უნდა მოექცეს პროლეტარიატი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, მემარჯვენეებისაგან გაწმენდილ გო-მინ-დანთან ერთად მიიყვანს დღევანდელ რევოლიუციას გამარჯვებამდე,

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლათ. როცა ეს განხორციელდება, პროლეტარიატი, რასაკვირველია, იმწამსვე შეუდგება „სხვა საქმეს“ სოციალისტური რევოლიუციისათვის საჭირო პირობების შემზადებას.

შესაძლებელია როგორც პირველი, ისე მეორე დაბოლოვებაც, მაგრამ ჩვენთვის ხომ ამ საკითხს განყენებული ძიების მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენთვის საინტერესოა იმის გამორკვევა, თუ როგორი და რა საშუალებით მოხერხდება, რომ რევოლიუცია **სწორეთ ისე დაგვირგვინდეს, როგორც ჩინეთის და მხოფლიო რევოლიუციისათვისაა საჭირო?** ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ მშრომელი ხალხისათვის სასურველი დაბოლოვება ჩინეთის რევოლიუციის, შეუძლია მისცეს მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობამ. ჩინეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობა კი ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ევალება. როგორი ამოცანები სდგას ამ მხრივ ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინაშე?

1) კომუნისტურმა პარტიამ უნდა მჭიდროთ შეაკავშიროს გო-მინ-დანის რიგები. მან არამც და არამც არ უნდა დაანებოს თავი გო-მინ-დანს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კიდევ უფრო შეასუსტებს გომინდანს და ხელს შეუწყობს რევოლიუციის დაღუპვას.

2) კომუნისტურმა პარტიამ ახალ-ახალი მებრძოლი ძალები უნდა გამოაფხიზლოს და ჩაიყოლიოს ბრძოლაში. მან გაათკეცებული ძალ-ღონით უნდა განაგრძოს პროლეტარიატის ორგანიზაციულათ (პარტიულსა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში) ჩამოყალიბება. მან უნდა მოფინოს ფართეთ სოფლათ საგლეხო რევოლიუციონური ორგანიზაციები.

3) კომუნისტურმა პარტიამ უნდა გააძლიეროს ჯარ'ნი მუშაობა მისი პოლიტიკური განვითარების გასაღრმავებლათ. თუ კანტონის ჯარი დღემდე ადვილად იმარჯვებდა თავის მტრებზე, თუმცა მის მოწინააღმდეგეებს, გაცილებით უფრო მეტი უკეთესი იარაღი ჰქონდათ, ეს სწორეთ იმიტომ, რომ კანტონის ჯარმა იცოდა, თავის ბრძოლების მიზეზი და მიზანი. საჭიროა ამ გზით კიდეე უფრო მეტი და უფრო გაღრმავებული მუშაობა.

კომუნისტურმა პარტიამ საღი თვალით უნდა შეხედოს მდგომარეობას, ის უკან კი არ უნდა გაჰყვეს რევოლიუციონურ მოძრაობას, არამედ წინ უნდა წაუძღვეს მას, მაგრამ მან ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ყოველი ახალი ლოზუნგის წამოყენება მტკიცეთ უნდა იქნეს არსებული პირობებთან შეფარდებული და შეთანხმებული.

შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა მაგალითად, ამ ჟამათ ჩინეთში, ლოზუნგათ მუშათა და გლეხთა საბჭოებიუ დაარსების წამოყენება.

ასეთი ლოზუნგი ჯერ-ჯეროპით ჩინეთის რევოლიუციისათვის ნაადრევია.

დღეს რომ იქ საბჭოები დაარსდეს, ხვალ მათ რაიმე საქმე უნდა გაუჩინოთ, მას სათანადო ამოცანა უნდა მისცეთ.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს ასეთი საბჭოების მოწყობა მხოლოთ იქ შეიძლება, სადაც უხანის (რევოლიუციონური გო-მინ-დანის) მთავრობა არის. სხვაგან ასეთი საბჭოების დაარსება შეუძლებელია, ვინაიდან როგორც ჩან-კაი-შის, ისე, იმპერიალისტების სამფლობელოში საბჭოების არსებობა წარმოუდგენელია. მაგრამ, სადაც კი არის შესაძლებელი საბჭოების დაარსება, თუნდა იქ მარტო, რომ დაარსდეს ეს საბჭოები, რა უნდა გააკეთებინებიოთ მათ?

მას უხანის მთავრობის ჩამოგდება უნდა ურჩიოთ და დაავალოთ?—ეს ხომ უაზრობა იქნებოდა! ტყუილა უბრალო სალაყბოთ იყოლიებთ საბჭოებს?—კი, მაგრამ საბჭოები სალაყბოთ არ გამოდგება და არც საბჭოებს გამოადგებათ ეს ხელობა.

აი, ასეთია დღეს-დღეობით საქმეთა ვითარება ჩინეთში. ჩვენ უიმედობა არ გვმართებს. რევოლიუციის მზე აღმოსავლეთის კამარას მიარღვევს და ზევით იწევს, ის, რაც დრო გადის უფრო მეტათ, უფრო უხვათ აფრქვევს სხივებს ჩინეთის გლეხისა და მუშის დუხჭირ ცხოვრებას საუკუნოების განმავლობაში მონობის უღელ ქვეშ მყოფი ჩინელი მშრომელი ხალხი იღვიძებს და დიდის თავგამეტებით იწყებს ბრძოლას თავის მტარვალების წინააღმდეგ.

მართალია, ჩან-კაი-შიმ გაათავა იმით, რითაც საზოგადოთ ათავებს ხოლმე ბურჟუაზია, როდესაც მას პროლეტარიატის გამოღვიძების წითელი საფრთხე შიშის ზარს სცემს, მართალია ისიც რომ ჩან-კაი-შიმ გაიყოლია გო-მინ-დანის ყალბი პასპორტი ჯიბეში, ის დღესაც გომინ-დანის სახელით ლაპარაკობს და მით სცდილობს არევ-დარევა და გაუგებრობა შეიტანოს მშრომელი ხალხის წრეში, მართალია ისიც რომ ბურჟუაზია ყოველ ხერხსა და საშუალებას მიმართავს რევოლიუციის დასამარხავათ, მაგრამ ჩინეთის მშრომელ ხალხს შეუძლია, რომ მას ეს საშუალება არ მისცეს.

მას ეს შეუძლია, მან ეს უნდა შესძლოს.